

24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

"ვერ დავდგები იმათ გვერდით, ვისთვისაც რაფორმის ცვლილებაზე საუბარს ტაბუ ადევს"

A4



ოზამა ამერიკელს ეკონომიკის აღორძინებას ვპირდება

A8



იბარია

A10



მცდარი დაზვეზა

დიმიტრი ავალიანი

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიამ მოსკოვის მიმართ ამერიკელი სამხედროების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეცვალა. იმის შესახებ, რომ რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებს და მეზობლების საზღვრებს ემუქრება, ნატო-ს ევროპული ძალების სარდალმა ლიად განაცხადა. ამერიკელი გენერალი, ოფიციალური ვაშინგტონის დეკლარაციების საპირისპიროდ, აშშ-ს რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას არ ელოდება.

"გასული წლის აგვისტოს მოვლენებმა პრინციპულად შეცვალა ის დაზვეზა, რომელიც ჩვენ 15 წლის წინ გავაკეთეთ," - განაცხადა ევროპაში ნატო-ს ძალების სარდალმა ჯონ კრედოკმა აშშ-ს სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტში გამოსვლისას.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე



კრედოკის განცხადებით, აშშ-ს რუსეთთან ურთიერთობა მომავალ წლებში უფრო რთული იქნება. ვიდრე ოდესმე ცივი ომის შემდეგ.

აპრილის რეკლამისკოცნაში ეთნოგენდა დაფიქსირდება

ევროსაბჭოს წარმომადგენლების ვიზიტი

გუშინ თბილისში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენლები მათიას ეორში და კასტრიო ისლამი ჩამოვიდნენ. მათ აინტერესებთ, თუ როგორ ასრულებენ საქართველო და რუსეთი საპარლამენტო ასამბლეის მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს. ვიზიტის დროს ეორში და ისლამი შეისწავლიან კონფლიქტურ ზონებში ადამიანის უფლებების დარღვევის, ეთნოწმენდის, სამხედრო ბაზების მშენებლობის და იძულებითი პასპორტიზაციის საკითხებთან დაკავშირებულ ფაქტებს.

გიორგი ასანიშვილი

"ევროსაბჭოს რეკომენდაციები რუსეთმა არ შეასრულა, საქართველომ კი საპარლამენტო ასამბლეის მოთხოვნები ნა-

ნილობრივ დააკმაყოფილა. ჩვენ ვიმსჯელებთ, თუ როგორ უნდა მოხდეს დარჩენილი ვალდებულებების შესრულება.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე

"უთავოდ" დარჩენილი რახეთი და ევროკავშირი

ნათანა ბაბიანი

ჩეხეთის გადამდგარი მთავრობა. პრემიერ მიროსლავ ტოპოლანეკის გუნდი არაეფექტიანმა ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა და ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განთავსების შესახებ მიღებულმა შეთანხმებამ დალუბა. თუმცა, პრემიერის პოსტის შენარჩუნების შანსი ტოპოლანეკს ჯერ კიდევ აქვს.

პრემიერის მემარჯვენე მთავრობას უნდობლობა სამშაბათს ჩეხეთის პარლამენტის ქვედა პალატამ გამოუცხადა. უმთავრესი პრეტენზიების ჩამონათვალში დასახელდა ეკონომიკის გადარჩენისთვის მიღებული არაეფექტიანი გა-

დანყვეტილებები, ევროკავშირის რეფორმირების შესახებ მოლაპარაკებებში ხელისუფლების არცთუ ისე მკაფიო პოზიცია და აღმოსავლეთ ევროპაში ანტისარაკეტო ფარის ამერიკული იდეისადმი ჩეხეთის მინისტრთა კაბინეტის უაპელაციო მხარდაჭერა.

ტოპოლანეკის კოალიციური მთავრობა, რომელიც "სამოქალაქო დემოკრატიული პარტიის", ქრისტიანულ-დემოკრატიული უნიის", "ჩეხეთის სახალხო პარტიისა" და "მწვანეთა პარტიის" კავშირისგან შედგებოდა, ხელისუფლებაში ყოფნისას უმცირესობის კაბინეტს წარმოადგენდა და ხელისუფლებაში 2007 წლის იანვრიდან იმყოფებოდა.

ბაზრძალაბა A7 გვერდზე

24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



24 საათი The New York Times Weekend

1 მარტიდან

საჯალ ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ელირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ელირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ----- 52 ლარი;
- 6 თვით ----- 26 ლარი;
- 3 თვით ----- 13 ლარი;
- 1 თვით ----- 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;

მსდარი დაშვება

პირველი გვერდიდან

“ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ბლოკის დაშლის შემდეგ, ჩვენ მიგვაჩნდა, რომ არც ერთ საზღვარს ვეროპასა და ვერა-ზიაში საფრთხე აღარ ემუქრება. ახლა, ჩემი აზრით, ნათელია, რომ ეს დაშვება მცდარი იყო,” - აღნიშნა ამერიკელმა გენერალმა.

შესაბამისად, კრედოკის განცხადებით, აშშ-ს რუსეთთან ურთიერთობა მომავალ წლებში “უფრო რთული იქნება, ვიდრე ოდესმე ცივი ომის შემდეგ.” მისი თქმით, ორი ქვეყნის ურთიერთობებში გაურკვეველობის პერიოდი გრძელდება. ამის მიზეზია უთანხმოება ევროპის უსაფრთხოების საკითხებზე, ასევე - რუსეთის როლზე ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში. გარდა ამისა, გენერლის განცხადებით, მოსკოვისა და ვაშინგტონის უთანხმოების სერიოზული მი-

ზეზია რუსეთის მიერ ჯარების შეყვანა საქართველოში და მის მიერ სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა.

“რუსეთის როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო ლიდერები მიგვანიშნებენ, რომ მათი მხრიდან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის კარი ღიაა,” - განაცხადა კრედოკმა. თუმცა, მისივე თქმით, რუსეთის მოქმედება საქართველოში 2008 წლის აგვისტოში, ასევე ევროპისთვის გაზის მონოდების შეწყვეტა 2009 წლის იანვარში, მონიშნავს, რომ “რუსეთს სურს, ევროპული სოლიდარობა შეასუსტოს და აშშ-ს გავლენა სისტემურად შეამციროს.”

“რუსეთი მიზანმიმართულად ცდილობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების ინსტიტუტების შესუსტებას და ამჟღავნებს მზადყოფნას, რომ თავისი მიზნების მისაღწევად ეკონომიკური ბერკეტები და სამხედრო ძალა გამოიყენოს,”

- განაცხადა ამერიკელმა გენერალმა.

კრედოკმა გააკრიტიკა აშშ-ს ადმინისტრაციის განზრახვა ევროპაში ამერიკული შეიარაღებული ძალების რაოდენობის შემცირების შესახებ. მისი თქმით, ამერიკული ქვედანაყოფები “შეკავებას” უწყობენ ხელს. როგორც ჩანს, აქ გენერალი სწორედ რუსეთის შეკავებას გულისხმობდა.

თუმცა, იმავდროულად კრედოკი რუსეთთან ურთიერთობის განვითარების წინააღმდეგობა, მათ შორის - სამხედრო სფეროში. გენერალმა ეს თავისებურად ახსნა: “ჯავშანსატანკო ძალების ოფიცრის გამოცდილებით, შემძლია ვთქვა, რომ, როდესაც საკუთარ ძალებთან ან მონინალმდეგესთან უშუალო შეხებას კარგავ, ამით არეულობა წამოიქმნება.”

გენერალმა აღნიშნა, რომ შესაძლოა, ეკონომიკურმა კრიზისმა რუსეთი აიძულოს, სარეაქციო არენაზე ნაკლებად

გამომწვევად მოიქცეს: “რუსების პოზიციონირება, რასაც ბოლო ორი წელი ვხედავთ, შესაძლოა, შეწყდეს საერთაშორისო ეკონომიკური სიტუაციისა და ენერგომატარებლებზე ფასების დაცემის გამო.”

წლის დასაწყისში სწორედ ჯონ კრედოკმა საჯაროდ მიმართა პენსილვანიაში რეკონსტრუქციით საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის დახმარების განხორციელების თაობაზე. როგორც მაშინ გენერალმა აღნიშნა, ამერიკელმა სამხედროებმა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს კოალიციის შემადგენლობაში მოქმედება ასწავლეს, მაგრამ საკუთარი ტერიტორიის დაცვისთვის ისინი არ მოუმზადებიათ. ნატო-ს ევროპული ძალების სარდალმა საქართველოსთვის სწორედ ამ სახის დახმარებას დაუჭირა მხარი. ამ განცხადების შემდეგ რუსულმა გენშტაბმა ამერიკელ გენერალს ბოდიშის მოხდაც კი მოსთხოვა.

“ალიანსი საქართველოსთვის” კახეთის ენჯი

“ალიანსი საქართველოსთვის” ლიდერებმა ირაკლი ალასანიამ, დავით გამყრელიძემ და დავით უსუფაშვილმა კახეთში რამდენიმე შეხვედრა გამართეს. გურჯაანში ალიანსის ოფისის წინ ლიდერები გურჯაანის მოსახლეობას შეხვედნენ. “ეს არის დიპლომატიური ხალხთან. ამაზე დაყრდნობით დაიხვეწება ჩვენი სტრატეგიები და პროგრამები, რომელსაც საზოგადოებას მალე გავაცნობთ,” - განაცხადა ალასანიამ კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში.

შეხვედრები გაიმართა ასევე წინანდალში, თელავსა და ყვარულში, სადაც ალიანსის ლიდერებმა ყვარლის ოფისი გახსნეს. “ალიანსის საქართველოსთვის” წევრ ფიქრია ჩხიბრაძის განცხადებით, “კახეთში საპროტესტო განწყობა მაღალია და 9 აპრილის აქციის მიმართ დიდი მოლოდინია.”

რადიო “ჰერეთის” ინფორმაციით, “ალიანსი საქართველოსთვის” მიერ პლემბისციტისთვის დასმულ კითხვებზე: უჭერთ თუ არა მხარს უმოკლეს დროში საქართველოში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას? თელავში 5000 ხელმოწერა შეგროვდა. “ალიანსი საქართველოსთვის” პარტიის თელავის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნიკა ვარდოშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლების ზეწოლის მიუხედავად, მოსახლეობა მინიციტით უჭერს და პრეზიდენტის გადადგომას მხარს უჭერს.

ალიანსის მიერ 19 მარტს დაწყებული საერთო სახალხო პლემბისციტი 31 მარტს დასრულდება. პირველი

“მოსკოვის სურვილი, საქართველოს ხელისუფლების შეცვლის თაობაზე, არასერიოზულია”

რუსეთის ექს-პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ყოფილი მრჩეველი ანდრეი ილარიონოვი საქართველოს ხელი-სუფლების შეცვლის თაობაზე ოფიციალური მოსკოვის სურვილს არასერიოზულს უწოდებს. როგორც ილარიონოვი აცხადებს, “საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისადმი რუსეთის ასეთი დამოკიდებულება საერთაშორისო საზოგადოებისთვის მიუღებელია”. “რუსული საინფორმაციო წყაროების ცნობით, რუსეთს არ სურს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან ურთიერთობა. მათი სურვილი ამ მმართველობის შეცვლაა, ჩემი აზრით, ეს არასერიოზულია,” - აცხადებს ილარიონოვი. **ჯი-ეიჩ-ენი**

ვაშაძე საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელ პერ ეკლუნდს შეხვდა. შეხვედრაზე საქართველო-სა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის საკითხთა ფართო სპექტრი განიხილეს. მხარეებმა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების იმედი გამოთქვეს და ამ მიზნით კონსულტაციებისა და დიპლომატიის გაგრძელებისთვის მზადყოფნა დააფიქსირეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

შეხვედრა ევროპის საბჭოს რეგიონული თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსს შეხვდა

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალალანია ევროპის საბჭოს განათლების, კულტურის, მემკვიდრეობის, ახალგაზრდობისა და სპორტის გენერალური დირექტორატის რეგიონული თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროს ჯანლუკა სილვესტრინის შეხვდა. საუბარი შეეხო ევროპის საბჭოს პროექტის მიმდინარეობას, რომლის სახელწოდებაც “კონფლიქტის შემდგომი გადაუდებელი ქმედება კულტურული გარემოსა და საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური რევიტალიზაციისათვის გორის მუნიციპალიტეტში (საქართველო)”. მხარეებმა ხაზი გაუსვეს პროექტის მნიშვნელობას გორის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული რეაბილიტაციის თვალსაზრისით და სამომავლო თანამშრომლობის კონკრეტულ ფორმატზე შეთანხმდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალალანია საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩ ივან ჟემტრაბს შეხვდა. შეხვედრის მთავარი მიზანი “აღმოსავლეთ პარტნიორობის” ინიციატივის საკითხები იყო. შეხვედრისას მხარეებმა 19-20 მარტს ბრიუსელში გამართული ევროპული საბჭოს სხდომის შედეგებზე განიხილეს, რომელზეც “აღმოსავლეთ პარტნიორობის” შესახებ ინიციატივა დამტკიცდა. საუბარი ასევე შეეხო ჩეხეთის, როგორც ევროკავშირის საბჭოს ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს პრაღაში 7 აპრილს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეების დონეზე მრავალმხრივი არაფორმალური შეხვედრების გამართვას პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნული შეხვედრის ძირითად მიზანს წარმოადგენს 7 მაისს დაგეგმილი “აღმოსავლეთ პარტნიორობის” დამფუძნებელი სამიტის მოსამზადებელ საკითხებსა და მის ფარგლებში დასამტკიცებელ ერთობლივი დეკლარაციის პროექტზე მსჯელობა. **ჯი-ეიჩ-ენი**

აპრილის რეზოლუციაში ეთნოგენეზი დაფიქსირდება

პირველი გვერდიდან

ამასთან, უპრეცედენტოა ის საჯაროობა, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობის დროს. ჩვენ ევროპაში შეგვეძლო ყოველდღიურად გვედევნებინა თვალი ამ კომისიის მუშაობისთვის. ეს დიდი პლუსია კომისიისთვის, პარლამენტისთვის და მთლიანად საქართველოსთვის,” - აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში მათიას ეორში.

გუშინ გამართული მოლაპარაკებების დროს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა ევროპულ სტუმრებს, გასული წლის ომის თემაზე საუბართან ერთად, საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობაც გააცნეს. ცისკარიშვილისთვის უცნობია, როგორი დღის წესრიგით იმუშავებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა აპრილში დაგეგმილ სესიაზე, თუმცა, მისი ინფორმაციით, “აპრილში აუცილებლად იქნება მიღებული რეზოლუცია ჰუმანიტარული საკითხების შესახებ და მასში აუცილებლად დაფიქსირდება ის ეთნოგენეზი, რომელიც ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა ერთობლივად განახორციელეს.”

გარდა ამისა, ეორშია და ისლამის ანტირესტრუქტურა, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნები და საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის შეფასებები ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული იქნება.

“ამაზე განაცხადით, რომ საპარლამენტო კომისიის მიერ 27 მაღალი თანამდებობის პირის დაკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია სრულყოფილია, მაგრამ, თუ საერთაშორისო კომისიის შეფასებები აბსოლუტურად გან-



მათიას ეორში

სხვავებული იქნება, ჩვენ მაინც შევეცდებით საკუთარი პოზიციების დაცვას,” - აღნიშნავს დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე.

პარლამენტარების გარდა, გუშინ სტუმრებმა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც გამართეს შეხვედრები: ეორში და ისლამი შეხვედრენ იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადვიშვილს, საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს და მის მოადგილე გიგა ბოკერიას, აგრეთვე პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს. დღის ბოლოს კი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის მომხსენებლები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ენცივინენ.

გუშინვე ეორში და ისლამი ნინო ბურჯანაძესაც ესაუბრნენ

და მისგან ფარული ჩანაწერების შესახებ მიიღეს ინფორმაცია, თუმცა ამ საკითხზე შეფასებები არ გაუკეთებიათ.

“ბურჯანაძისგან მოვისმინეთ დეტალური ინფორმაცია მისი პარტიის წევრების დაკავების, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესების და 9 აპრილისთვის დაგეგმილი აქციის შესახებ. ჩვენ ფარულ ჩანაწერებს შევისწავლით და კომენტარს შემდეგ გავაკეთებთ. რაც შეეხება 9 აპრილის აქციას, იმედი მაქვს, იგი მშვიდობიან ფორმებს არ გაცდება,” - განაცხადა ეორშია.

პარლამენტის ექს-სპიკერმა კი, თავის მხრივ, 9 აპრილზე გამახვილა ყურადღება.

“9 აპრილის აქციის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი ფორმით ჩატარებას ვაპირებთ და მხარს ვუჭერთ ნების-

მიერ ფორმატს, რომელიც საერთაშორისო მონიტორინგს უზრუნველყოფს. მინდა, მთელი მსოფლიო და ჩვენი ხალხიც დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ამ აქციების დროს ოპოზიციის მხრიდან ძალადობას ან უკანონობას არავინ ჩაიდენს,” - აცხადებს ბურჯანაძე.

არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრებს ევროსაბჭოს მომხსენებლები დღესაც გააგრძელებენ. დღესვე დაგეგმილია შეხვედრა საარჩევნო კომიტეტზე მომუშავე ჯგუფის, აგრეთვე დემოკრატიული რეფორმის პაკეტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ დეპუტატთა ჯგუფის წევრებთან.

ვიზიტის დასასრულს ეორში და ისლამი ევროპის საბჭოს ოფისში პრესკონფერენციას გამართავენ.

"ვერ დავდგები იმათ გვერდით, ვისთვისაც რეფორმის სვლილებებზე საუბარს ტაბუ ადევს"

A4 გვერდიდან

რომელიც არ დააგროვებს უარყოფით გაცილებას. ეს თეორიულადაც კი გამოცდილია. არიან ადამიანები, რომელთათვისაც რეფორმის მიმართულებით ყველანაირი ცვლილების განხორციელებას ტაბუ ადევს. მე ასეთი ადამიანების გვერდით ვერ დავდგები ვერასდროს. მე მიმაჩნია, რომ იმან, ვინც ტაბუს იყენებს, არ უნდა ისაუბროს რეფორმაზე, რადგან ტაბუ და რეფორმა შეუთავსებელია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ის, რომ ჩვენ ვახდენთ ობიექტურად დაგროვილი უარყოფითი გამოცდილების კორექციას, პირიქით, რეფორმის გაძლიერებას ემსახურება. ზოგი რამე იყო ნაჩქარევი, ამიტომ უნდა ვადავადგეს, რაღაც იყო არასწორი, ეს პრაქტიკაში დადასტურდა. ასე რომ, მე ვერ ვხედავ პრობლემას, რომ რაღაცეები შეიცვალოს, მთავარია დაგრჩეთ იმ კონცეფციაზე, რაც არის ჩვენი რეფორმის ამოსავალი ნერტილი.

- სკოლის რემონტების თემაზე მასსოვს თქვენი განცხადება, რომელიც დასავლეთ საქართველოში ქარიშხლის შედეგად სკოლების დაზიანების შემდეგ გააკეთეთ. თქვენ მაშინ თქით, რომ ჩაუღრმავდებით, როგორ გაკეთდა რემონტები სკოლებში.

- ჩაუღრმავდებით და ვუღრმავდებით კიდევაც. ბუნებრივია, 2005 წლიდან მოყოლებული რემონტების მონიტორინგს ჩვენ ვერ განვახორციელებთ, ამის რესურსი ჩვენ არ გვაქვს. თუმცა, ვანყვებით პრობლემებს და ახალი გასარემონტებელი ხდება ხოლმე ბევრი რამ. იგივე ქარიშხალთან დაკავშირებით - ერთ ქალაქში იდგა ორი სკოლა, ერთი ახალგაშენებული, მეორე - ძველთაძველი, 50 წლის წინანდელი. ამოვარდა ქარიშხალი. ახალგაშენებულ სკოლას სკოლისგან არაფერი არ დატოვა. ის ძველისძველი სკოლა კი დგას. რა თქმა უნდა, დადგება პასუხისმგებლობის სა-

კითხი. თუმცა პასუხისმგებლობის საკითხს განათლების სამინისტრო არ აყენებს. ჩვენ მასალებს გადავცემთ შესაბამის უწყებებს. აქ ჩვენ აბსოლუტურად ვთანხმდებით იმაზე, რომ არაკეთილსინდისიერი ადამიანები შეიძლება არსებობდნენ, მათ შორის - რეფორმატორთა რიგებშიც. ამას არავითარი კავშირი არა აქვს რეფორმასთან. ამას ვაღიარებ მეც, ჩემი წინამორბედებიც და, იმედია, ჩემს შემდგომ ვინც იქნება, ისიც.

- 12 წლიანი სწავლების 11-იანად გადაკეთებას ხომ არ აპირებთ?

- არა, ნამდვილად არა. თუ ამას არ გადაკეთებთ, სწავლება იქნება არასრულფასოვანი. ეს არის საერთაშორისო სტანდარტი. პრობლემა 12 წლიანი სწავლებაში კი არ არის. მე პირადად მიმაჩნია, რომ საუფთა ფსიქო-ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, უნივერსიტეტში უნდა ხვდებოდნენ უფრო ზრდასრულები. პრობლემას, რომელსაც საზოგადოება აყენებს მე-12-ე კლასთან დაკავშირებით, ქმნის ის, რომ წელს იყო პირველი წელი. დაიხვეწება პროგრამები, დაიხვეწება სახელმძღვანელოები. გვჭირდება დრო იმის დასამტკიცებლად, რომ ეს გადაწყვეტილება სწორი იყო.

- შარშან წარჩინების მედლები შემოიღეს. მაშინვე გაჩნდა მოლოდინები, რომ სკოლის ატესტატს მისაღები გამოცდების დროს გარკვეული დატვირთვა მიენიჭებოდა.

- დღეს ეს არის ძალიან ნაადრევი. როცა ამას შევითხებიან მასწავლებლები, ვპასუხობ - საქართველოში არის 2200 სკოლა. როცა მე მექნება გარანტია, რომ 2200-ივე სკოლაში ობიექტურად წარიმართება ეს პროცესები, შეიძლება ნავიდეთ აქეთკენ.

- ანუ კორუფციული საფრთხეებია?

- უდიდესი. ამან შეიძლება გამოიწვიოს კორუფციული აფეთქება. ქართული საგანმანათლებლო სისტემა ამისგან ჯერჯერობით ძალიან შორს დგას.

"ვერასდროს ვერ გავიზიარებთ ორ რამეს: პირველი იმას, რომ რეფორმა იყო ცუდი და წარუმატებელი. რეფორმა არის ძალიან პროგრესული, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი და კარგი შედეგი მოიგანა ამ რეფორმამ, მაგრამ არსებობს მეორე მოსაზრებაც - ვერასდროს ვერ გავიზიარებთ იმას, რომ ამ რეფორმაში ყველაფერი იყო სწორი".

- წელს აპირებთ ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შემოღებას. ეს ისევ უნარ-ჩვევების ტესტზე იქნება დამყარებული?

- ეს არ არის უნარ-ჩვევების ტესტი. ეს არის ძალიან საინტერესო ტესტები - ჯიშის და ჯიშის მსგავსი ტესტები. ერთიანი სამაგისტრო გამოცდა არ იქნება სავალდებულო ყველა უნივერსიტეტისთვის, ანუ სახელმწიფო სასწავლებლებისთვის. გამოცდა არის ორკომპონენტური: ეს არის ჩარიცხვის კომპონენტი და დაფინანსების კომპონენტი. ჩვენ ვამბობთ, რომ ნებისმიერ კერძო უნივერსიტეტს შეუძლია ჩართოს ამ ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ქსელში, ოღონდ, რა თქმა უნდა - ორივე კომპონენტით. რას ნიშნავს ჩარიცხვის კომპონენტი - ადამიანი რომ გადადის გამოცდაზე, ნებისმიერ შემთხვევაში იგი მეორე გამოცდას აბარებს უნივერსიტეტში. მაგრამ არსებობს არჩევანი უნივერსიტეტისთვის. მაგალითად, უნივერსიტეტი ამბობს, რომ ერთიანი მაგისტრატურის გამოცდა იქნება გათვლისწინებულ ჩარიცხვის დროს, ოღონდ იმ პირობით, რომ ჩემს გამოცდაზე მოვლენ მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებმაც გადალახეს

დავუშვით არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, არამედ უფრო მაღალი ზღვარი. უფრო გავრცელებული მიდგომა კი, ალბათ, ასეთი იქნება: უნივერსიტეტი ამბობს - მე ერთიანი სამაგისტრო გამოცდას ვანიჭებ, დავუშვით, 30 ქულას. დანარჩენს - ჩემს გამოცდას, პროფესიულ გამოცდილებას ან სხვა კრიტერიუმებს. თავის ნაწილში რა კომპონენტებს შეიტანს, ეს უნივერსიტეტზეა დამოკიდებული.

- ოღონდ, ვინც ვერ გადალახავს ერთიანი სამაგისტრო გამოცდების მინიმალურ ზღვარს, როგორც არ უნდა აკმაყოფილებდეს თავად უნივერსიტეტის მოთხოვნებს, ის საერთოდ ვერ ჩაირიცხება უნივერსიტეტში?

- ვერა.
- რაც შეეხება დაფინანსებას - დაფინანსება წყდება მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის მიერ დადგენილი რანჟირებული სიით, როგორც ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე, უნარების შემთხვევაში. ამასთან, ჩვენ გვაქვს პროტექციონისტული დამოკიდებულება ზოგიერთი დარგის მიმართ - იმ დარგების, რომლებსაც შედარებით უჭირს. ესენია საბუნებისმეტყველო, პედაგოგიკა და ასე შემდეგ.
- თქვენს პრიორიტეტულ სიებში ვერ

მოხვდა ეკონომიკა, იურისპრუდენცია.

- ვერ მოხვდა, იმიტომ რომ მათზე მოთხოვნა ისედაც არსებობს. მაგალითად ქიმიკაზე კი არ მიდიან, იმიტომ, რომ არ უღირთ წელიწადში 2000 ლარის გადახდა-მაგისტრატურაში.

- შრომის ბაზარზე ქიმიკოსებზე მოთხოვნა არის?

- მოთხოვნა არის, როგორ არ არის. რამდენიმე წელში რომ აღარ გვეყოლება ქიმიკოსი, მერე რა ვქნათ? ან საინჟინრო - უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია. წარმოიდგინეთ, მე ვარ იურისტი და თქვენ - ქიმიკოსი, მე შემიძლია ჩავაბარო მაგისტრატურაზე და პარალელურად ვიმუშაო და გადავიხადო საფასური. თქვენ როგორც ქიმიკოსი, ამ შესაძლებლობას მოკლებული ხართ. გამოდის, რომ ძალიან ნიჭიერიც ხართ, ძალიან პერსპექტიულიც, მაგრამ ბაკალავრიატს ვერ გაცდით იმიტომ, რომ ფული არ გაქვთ. ამიტომ, რა თქმა უნდა, პროტექციონიზმი იქნება ამ დარგებისადმი. ფუნდამენტური მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, საინჟინრო მეცნიერებები უმნიშვნელოვანესია ქვეყნისთვის, არის ხერხემალი ქვეყნის ეკონომიკის. ჩვენ ვერ დავუშვებთ ამ დარგების სიკვდილს. როგორი იქნება ეს დაფინანსება: 2 მილიონიდან გამოყოფილი პირველი 10 პროცენტი წავა პირველ ადგილებზე გასულ ადამიანებზე, მიუხედავად დარგისა. მერე არის 10 თუ 12 მიმართულება, რომელიც მთავრობამ უნდა დაადგინოს, როცა გადაწყვეტილება იქნება მიღებული - ამ მიმართულებების მიხედვით 40 პროცენტი თანაბრად დადანაშაუდება. თანხის 50 პროცენტი კი გადანაწილდება იმ დარგებზე, რომლებზეც მთავრობა იტყვის, რომ პრიორიტეტულია. შეიძლება გამოვიდეს, რომ საბუნებისმეტყველო ან საინჟინრო მიმართულებაზე ჩამბარებულმა ყველამ მიიღოს დაფინანსება, იურიდიულზე კი - მხოლოდ 5-მა პროცენტმა.

სამართალი

"იცოდი, ნინოს ხალხს ომი აწყობს"

ვიდეორევენება №2

ვიდეომასალა №1

ზურაბ ავალიანი და დავით გოგროჭაძე - ბათუმის ერთ-ერთ რესტორანში საუბრობენ ოპოზიციის მიერ ახლო მომავალში იარაღის შესაძლო გამოყენებაზე.

- ერთ რაღაცას გეტყვი, რომ ეს ყველაფერი უნდა გავთვალთ ჩვენ და მაშინ, როცა საქროა, მაშინ დავაჯინოთ. ღალატი რომ მოხდეს, რომ გაიშიფრები მაშინ, ან მე უნდა გავიქცე "კაროჩე" რა...

- ერთ რამეს გეტყვი, ეს ვარიანტი იქნება ბოლო ვარიანტი, მაგრამ, შეიძლება, ჩვენ თოფი დაგვჭირდეს... სროლა დაგვჭირდება.

- რამდენი ვაჟკაცის შეგროვება შეიძლება?

- ამ ეტაპზე? ამ ეტაპზე ჩვენ რომ ვიანგარიშოთ, ეხლა 1000 კაცამდე უეჭველი შეგვიძლია...

- კი ბატონო.

ზურაბ ავალიანი და დავით გოგროჭაძე ერთად მიდიან იარაღის შესაძენად.

- ერთი დამანახე, რამდენი ხანია ხელში აღარ მჭერია...

- ეგა ბიჭო?

- აჰა, ძმაო, მეშოკები იქნება, შენ მიხედე, ძმაო...

- ხო არ დაგვეუხანგა პატარაზე?

- ამას გამოტენვა დაჭირდება

- გახსოვს ეგენი?

- რავა არ მახსოვს

- ამაში 800 დოლარი გამოართვი...

- რომელი საკაპევილი უნდა დაგიდგეს...

- იცი მაგის იგი?

- რავა არ ვიცი?

- ეს ლულა იქით უნდა ჰქონდეს, ესე დაიჭერ და ბახ...

- ეს თითო მეც მაქვს ყველაფერი...

ვიდეომასალა 2

როინ ბუღაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, დემოკრატიული მოძრაობა "ერთიანი საქართველომის" ისანი-სამგორის რაიონულ შტაბში საუბრობს საქართველოში სამოქალაქო ომის პროვოცირების გზებზე და მისი პარტიისათვის ამ ომისგან მიღებულ შესაძლო სარგებელზე.

- აქა ვარ, ბრატ, გამოდი რა, რა ვიცი, სად შემოვიდე, ბიჭო, ციხე-სიმაგრესავით არის

- რავა ხარ?

- მე ბადრისთან ვარ, როგორ იცი? როგორც მამაშვილი და პატივს გცემ...საიდან ვედექი იცი? რევოლუციიდან...

- ბადრი ვინ არის?

- ბინაძე, ნინოს ქმარს. მე ამასთან ვარ წლობით. ომის მერე მეც წამოვედი. აქ ჩვენ, ჩემი დედა...პარტიზანებიც გყავს...ბიჭები. ნინო არის სტოპრაცენტი. მილიონი პროცენტის გადამწყვეტილია.

- მომიხსენე, მილიარდი პროცენტი ხო, სიტყვაზე, მარა ეს რო ეგრე არ წავა, კარგად იცით...

- არა, ჩემო ძმაო, ეგ ეგრე არ წავა...

- ცარიელა ხელით რა...

- არა, ცარიელა ხელით, ეგრე არ არის. ცარიელი ხელით ვინ წავა, ყ...უნდა იყოს მაშინ, ცარიელი ხელით რო გავარდეს.

- მიზანი და გეგმა ხო უნდა იყოს...

- აქ რა არის იცი? შეიძლება ისეთი ვარიანტი ნავიდეს...

- შეიძლება?

- არა, შიმშილობა არ იქნება, არა, შიმშილობა არ წავა. აქ წავა როგორი პონტი იცი? მე ისე ვაგვიკეთებ საქმეს,

ხატუნა გიბაური

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ მორიგი ფარული ვიდეორჩანაწერები გამოაქვეყნა. ორეპიზოდური ვიდეომასალაში ნინო ბურჯანაძის პარტიის "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" წევრები ზურაბ ავალიანი და დავით გოგროჭაძე ფიგურირებენ. ვიდეომასალაში ფიგურირებს ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი როინ ბუღაშვილი. "დამატებითი მტკიცებულებების გამოქვეყნებას კვლავაც განვაგრძობთ," - აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ფარული ვიდეორჩანაწერების გამოქვეყნებამდე, თბილისის საქალაქო სასამართლომ სამი დღის წინ ბათუმსა და თბილისში იარაღის შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავებულ, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის თანაპარტიულს ნინას-ნარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. გუშინვე, ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ "სახალხო მოძრაობა - საქართველოს გადარჩენისთვის" წევრებს მალხაზ გველუკაშვილსა და ლაშა ჩხენკელს, რომლებსაც ანტისახელმწიფოებრივი ქმედება ედებათ ბრალად. მათი ინტერესების დამცველ ზაზა ვაშაყმაძის შუამდგომლობა, ბრალდებულთა გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების შესახებ, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. სასამართლო პროცესზე გველუკაშვილმა აღიარა, რომ სახალხო ამბოხის მონაწილეს მართლაც გეგმავდა. თუმცა, შეიარაღებული ტერაქტის

"იცოდეთ, ნინოს ხალხს ომი აწყობს"

AS გვარდია

- კრიმინალების ბანდა!
 - ოლონდ მიშა წავიდეს, ყველაფერზე მიდიან. ჯერ ეცდებიან ერთი კვირა - ნადი, არ წავა. მერე რავი რა მოხდება. იქეთ ჩააგდებენ პროვოკატორებს თუ აქეთ გადმოაგდებენ პროვოკატორს, ტყვია თუ გავარდა ბოზ...
 - მე ხომ ვიცი, ნონოსთან მასა რა არის. ეგ იცოდეთ, ნინოს ხალხს ომი აწყობს, ოლონდ მიშა წავიდეს. აქ ხალხი რა მომენტია. ვალეები გვაქვს ჩემი დედას... ნეტავ ომი დაიწყოსო.
 - არ მკიდა მიშაო,? აზრზე ხარ?
 - ეგეთ ხალხს იღებ ტო?
 - ბო... ვიყო, ჭირდება. ნინოს ჭირდება ეგ ხალხი. დედას მო...
 ლომბარდებს ავწევთ ჰაერშიო. რას მბობთ, სულ ცხინვალში გადავიტანთ მანქანებს.
 აზრზე ხარ, რა დონეზე ეზიზღებათ მიშა. ოლონდ მიშა წავიდეს, და ომსაც დავინყებთო. რა დონემდეა ხალხი იმენა. რო ძინავთ, მიშაზე ბოდავენ. მაგის დ... არ აინტერესებთ, მიშა წავიდეს და თუ გინდა ყ... დაჯდესო. ბადრის რეკომენდაციითა ვარ დანიშნული. ბადრი და რემი მინწვენ რეკომენდაციას. მე დამავალეს ისანი-სამგორის რაიონში. რაც შეიძლება მაზოხისტი და დედა... ბიჭები მოიყვანეო. გინდაც ომზე წავიდესო და ვკარგავ, ძმაო ამ ხალხს.

„პასუხი იმანაც უნდა აგოს, ვინც ამ პროვოკაციაზე შეგნებულად წავიდა“

ტელევიზიით მორიგი ფარული ვიდეორჩანაწერების გამოქვეყნებისთანავე, "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ისანი-სამგორის რაიონული ოფისი დაიხურა. ოფისში მომუშაებმა ოფისის წინ ჩამოკიდებული დროშა ჩამოხსნეს, ოფისის კარი დაკეტეს და შენობის მიმდებარე ტერიტორია უკომენტაროდ დატოვეს. ცოტა ხანში კი, "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" მთავარ ოფისში პარტიის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ახალ ვიდეომასალასთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა. პოლიტიკური განცხადებით გააკეთა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის მეუღლემ, სასაზღვრო პოლიციის ყოფილმა ხელმძღვანელმა ბადრი ბიწაძემაც.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ყველა კანონდამრღვევი უმკაცრესად უნდა დაისაჯოს.
 "თუ ჩემი პარტიის წევრების მიერ იარაღის უკანონოდ შეძენა დადასტურდა, ისინი უმკაცრესად უნდა დაისაჯონ, თუმცა, თუ ეს ხელისუფლების პროვოკაციაა, მაშინ არც ხელისუფლება უნდა დარჩეს დაუსჯელი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ვინც არ უნდა იყოს კანონის დამრღვევი და რამდენადაც არ უნდა იყოს ის დაკავშირებული ჩემს პარტიასთან ან პირადად ჩემთან, ნებისმიერმა ადამიანმა კანონის მთელი სიმკაცრით პასუხი უნდა აგოს. თუმცა, თუ მას "ჩაუდეს" იარაღი, როგორც ეს ავალიანის შემთხვევაში ნამდვილად მოხდა და ამის თვითმხილველებიც არსებობენ, თუ მას პროვოცირება გაუკეთეს, თუ ფირი დაუმონტაჟეს, ან მოტყუებით მიიყვანეს სადმე, ასეთ შემთხვევაში პასუხი იმანაც უნდა აგოს, ვინც ამ პროვოკაციაზე შეგნებულად წავიდა," - განაცხადა ბურჯანაძემ.
 როგორც პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ირწმუნება, ფლობს დამადასტურებელ ფაქტებს, რომ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ზურაბ ავალიანს იარაღი "ჩაუდეს". ნინო ბურჯანაძე ასევე ირწმუნ-

გიორგი შენგელიას ვიდეომასალის უტყუარობაში ეჭვი არ ეპარება

"საქართველოს ვაზის პარტიის" ლიდერს, კინორეჟისორ გიორგი შენგელიას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ვიდეომასალის უტყუარობაში ეჭვი არ ეპარება. როგორც მან განაცხადა, გავრცელებული მასალა ნამდვილად არის გადაღებული და პროფესიონალის თვალით არ ჩანს, რომ ეს კომპიუტერული მონტაჟია.
 "აქ მთავარი იმის გამოკვლევაა, თუ ვინ არიან კადრზე აღზევდილი პირები - პარტიის წევრები თუ სპეცსამსახურების მიერ შეგზავნილი ადამიანები. თუ ისინი ნამდვილად "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" წევრები არიან, მაშინ მათი მოქმედება მთელი პარტიისთვის სამარცხვინოა, რაზეც მორალური პასუხისმგებლობა ნინო ბურჯანაძეს ეკისრება: მნიშვნელობა არ აქვს, იცოდა თუ არა მან მისი თანაპარტიელების მიერ იარაღის უკანონოდ შეძენის ამბავი," - აცხადებს გიორგი შენგელია.

ლევან ვეფხვაძე ექსპერტიზას ითხოვს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლევან ვეფხვაძე მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ჩანაწერებს ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს. ლევან ვეფხვაძის განცხადებით, გამოძიების დასრულებამდე ძალიან ძნელია იმაზე ლაპარაკი, არის თუ არა პირდაპირი კავშირი ამ ადამიანების საქმიანობასა და პარტიის პოლიტიკურ აქტივობას შორის. "იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მასალა რეალურია და იმისათვის, რომ საზოგადოებაში რაიმე კითხვა არ არსებობდეს, გამოძიებაში საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობა აუცილებელია," - აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ და დასძინა, რომ ძალადობას ყველა პოლიტიკური ძალა უნდა გაემიჯნოს.

გიორგი თარგამაძის აზრით, ახალი კიტოვანების გაჩენა ტექნიკური საკითხია

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე ოპოზიციას სიფრთხილისაკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ ასეთ ვითარებაში მთავარი დიალოგი და კომპრომისია.
 "კიტოვანების გაჩენა, როგორც ნეკი, ტექნიკური საკითხია და ეს პრობლემას არ წარმოადგენს. ხელისუფლების და ოპოზიციის პასუხისმგებლობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ჩვენ არ შეექმნათ ისეთი ფონი, წინაპირობა და ნიადაგი, როდესაც ახალი კიტოვანები გამოჩნდებიან. იმის მტკიცებია, რომ ვიდეომასალაში ასახული ადამიანები, რომელიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერის უშუალო დაგვლებით და სქემით მოქმედებენ, ძალიან რთული იქნება და ამის დასამტკიცებლად გამოძიებას დამატებითი გარემოებები ექნება წარმოსადგენი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ სიტუაცია განვმუხტოთ," - განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

პეტრე ცისკარიშვილი: "ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, მშვიდობიანი ადამიანების უსაფრთხოების დასაცავად"

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის პეტრე ცისკარიშვილის შეფასებით, "ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, როდესაც ხელისუფლების დაზოხისკენ მიმართულ განცხადებებს და მონოდებებს აკეთებს".
 როგორც ცისკარიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ასეთი განცხადებების და მონოდებების შემდეგ ყოველთვის ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც პროვოკაციაზე არიან ნამსვლელი და საკუთარ სახელმწიფოს და ხალხს მტრობენ.
 "ჩვენ არ გვინდა ამ დაკავებების პოლიტიზირება. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს და გააკეთებს, რომ მშვიდობიანი უდანაშაულო ადამიანების უსაფრთხოება დაცული იყოს, - იქნება ეს 9 აპრილს, თუ ნებისმიერ სხვა დემონსტრაციაზე," - განაცხადა ცისკარიშვილმა.

გია მაისაშვილი: "ვინც იარაღს აჩხაკუნებს, მას საქართველოს უტყუარობაში გადაჩეხვა სურს"

აცხადებს "ალიანსი თავისუფლებისთვის" ერთ-ერთი ლიდერი გია მაისაშვილი.
 "თუ პოლიტიკურ ოპოზიციას ვინმე იარაღს აჩხარუნებს, მას საქართველოს უტყუარობაში გადაჩეხვა სურს. ამის გამო ის კრიმინალია და მეტი არაფერი," - ასეთ განცხადებას აკეთებს გია მაისაშვილი.

პავლე კუბლაშვილი: "ხელისუფლება ვალდებულია, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება არ დაუშვას და ამას შესძლებს"

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის პავლე კუბლაშვილის განცხადებით, ხელისუფლების ვალდებულებაა, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება არ დაუშვას და ხელისუფლება ამ ვალდებულების შესრუ-

ლებას შეძლებს.
 "ხელისუფლებას ამ დაკავებების პოლიტიზირება არ სურდა და სამწუხაროა, რომ საკითხის პოლიტიზირება მაინც მოხდა. ის, რაც ჩვენს ქვეყანას ძალიან სჭირდება, სტაბილურობა და ხელისუფლების მხრიდან ყველაფერი გაკეთდება, რომ ყოველგვარი დაპირისპირება გამოირიცხოს," - განაცხადა კუბლაშვილმა.

ირაკლი სესიაშვილი მომხდარს "დადგმულ პროვოკაციას" უწოდებს

სამხედრო საკითხებში ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი შსს-ს მიერ გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებს "დადგმულ პროვოკაციად" მიიჩნევს.
 "ამ ჩანაწერების ხილვამ და "გენერალთა კლუბის" ხსენებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ეს არის დადგმული პროვოკაცია," - განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.
 მისივე განმარტებით, "გენერალთა კლუბი" ჩვეულებრივი NGO, მასში ყოფილი გენერლები და პატივსაცემი ხალხია გაერთიანებული, რომლებსაც გამოირიცხვია, რაიმე კავშირი ჰქონდეთ ამ ბინძურ ტელევიზუიტებთან".

ზურაბ ტყემალაძე: "დამატერებლად გამოიყურება, მაგრამ დამატერებელი არ არის"

ვიდეომასალების ექსპერტიზას "მრეწველთა პარტიის" ლიდერიც ზურაბ ტყემალაძეც აუცილებლად მიიჩნევს.
 "დასადგენია, ნამდვილად არსებობდა თუ არა ბურჯანაძის პარტიაში იარაღის რაიმე პროვოკაციის მიზნით შესყიდვის ნიშნები. შსს-ს მიერ გამოქვეყნებული მასალები დამატერებლად გამოიყურება, მაგრამ დამატერებელი არ არის. მას დამტკიცება სჭირდება," - აცხადებს ტყემალაძე "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" წევრთა დაკავების საკითხზე კომენტარებისას.
 ამასთან, ტყემალაძე აცხადებს, რომ "მრეწველები" ნებისმიერი მხრიდან ძალადობას ემიჯნებიან.

გოკა გაბაშვილი: "კრიმინალებს თავად ბურჯანაძის პოლიტიკური პარტიის წევრებიც უნდა გაემიჯნონ"

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი მიიჩნევს, რომ კრიმინალებს თავად ბურჯანაძის პოლიტიკური პარტიის წევრებიც უნდა გაემიჯნონ.
 "ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერი პოლიტიკური ძალა გაემიჯნებოდა თავის რიგებში ასეთ კომპარებს. არ ვიცი, ეს ხალხი საიდან ჩნდება, რა დაფინანსებით და რა იდეოლოგიით, რა გზებისთვის, რა მიზნებისთვის იბრძვიან, მაგრამ საღი პოლიტიკური ოპოზიციური ძალები, ნებისმიერ ქვეყანაში ამას გაემიჯნებოდა," - აცხადებს გაბაშვილი.

მამუკა არემიძის აზრით, ხელისუფლებამ მიზანს მიაღწია

ექსპერტი მამუკა არემიძე აცხადებს, რომ შსს-ს მიერ გავრცელებული ვიდეორჩანაწერები ოპოზიციის დისკრედიტაციას ემსახურება და ხელისუფლება ამ მიზანს მიაღწევს.
 არემიძის განცხადებით, საზოგადოება, რომელიც ობიექტური ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის, გავრცელებული კადრები მასში უარყოფით რეაქციას გამოიწვევს.
 ექსპერტი მიიჩნევს, რომ გავრცელებული კადრების ნახვის შემდეგ საზოგადოება დაკარგავს იმის სურვილს, რომ აქციებზე ოპოზიციის გვერდით დადგეს.
 "ის კადრები, რაც გავრცელდა საზოგადოებაში ოპოზიციის მიმართ უნდობლობას აღძრავს და ადამიანებს დაეპარებათ სურვილი, რომ აქციებზე ოპოზიციის გვერდით დადგნენ. ფაქტია, რომ კადრებში უსაფუძვლო ტრახბი და ტყუილი ბაქიბუქია და ეს ადამიანები პროვოკატორები და შეგზავნილები არიან. ეს გაკეთდა ერთი მიზნით: ჩაეხშოთ საზოგადოების აქტიურობა და, სამწუხაროდ, ვფიქრობ, ხელისუფლებამ მიზანს მიაღწია," - განაცხადა მამუკა არემიძემ.

კობა ხაბაზს დაფინანსების საკითხი აინტერესებს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის კობა ხაბაზის აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ფარულ ჩანაწერების მიღმა "ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია დარჩენილი, რომელიც ფინანსებს ეხება". დეპუტატს იმედო აქვს, რომ მერაბიშვილის უწყება უახლოეს მომავალში გაავრცელებს ინფორმაციას იმ ფულის წარმომავლობის შესახებ, რომლითაც დაკავებული პირები იარაღის შეძენას გეგმავენ.
 თავად ხაბაზი დარწმუნებულია, რომ "ეს არის რუსული წარმომავლობის ფული, რომელიც მცირე რაოდენობისა არ არის".
 რუსეთის ინტერესებში საქართველოში დესტაბილიზაციის და არეულობების გამოწვევა და ამ გზით საქართველოს სახელის დისკრედიტაცია შედის. რუსეთმა ამ მიზნის მისაღწევად და ფულის ჩასადებად ახალი ადრესატი იპოვა," - აცხადებს კობა ხაბაზი.

ნება, რომ გუშინ გავრცელებულ კადრებში ნაჩვენებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელთან როინ ბულაშვილთან არც მას და არც მისი პარტიის წევრებს არანაირი კავშირი არ აქვთ.

"ჩვენ დღეს ძალიან უცნაური კადრები ვნახეთ. დილის ექვს საათზე პარტიის ოფისში აწყავთ პირი, რომელსაც პარტიის მხრიდან არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნია, რომელსაც არც ერთი უფლებამოსილი პარტიის წევრი არ იცნობს და არანაირი შეხება სამგორის ოფისთან არ აქვს," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. როინ ბულაშვილთან ნაცნობობა და რაიმე სახის ურთიერთობა კატეგორიულად უარყო სასაზღვრო პოლიციის ყოფილმა უფროსმაც. ბულაშვილთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ვიდეომასალას ბადრი ბიწაძემ მერაბიშვილის უწყების მიერ შეთხზული სტინდორე უწოდა და განაცხადა, რომ ეს იარაღი შსს-ს თავად ჰქონდათ შეძენილი, რათა ნინო ბურჯანაძის პარტიისთვის პროვოკაცია მოეწყო. მისივე თქმით, ფარული ჩანაწერები ხელისუფლების მიერ მონყობილი პროვოკაციაა და ამ პროვოკაციაში პარტიის ზოგიერთი წევრის ჩათრევა სურთ.

"ბულაშვილს არ იცნობს, არც არასდროს მინახავს. არც ჩემთან უმუშავია ოდესმე. მე ვიცნობ ვანო მერაბიშვილს და მიხიელ სააკაშვილს ბავშვობიდან. ღირსი ვარ, რომ დამიჭირონ და დამხვრიტონ, მათ გვერდით რომ ვიყავი. ვანო მერაბიშვილს ყველაფერი შეუძლია. აგენტების შეგზავნა შეუძლია ოფისშიც და ლოგინის ქვეშაც," - განაცხადა სასაზღვრო უწყების ყოფილმა შეფმა.

რაც შეეხება "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" აჭარის ორგანიზაციის წევრ ზურაბ ავალიანს. მას შემდეგ, რაც ის გავრცელებულ ვიდეომასალაში გამოჩნდა, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს კულუარებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საპარლამენტის თავმჯდომარეობის პერიოდში ნინო ბურჯანაძე ზურაბ ავალიანის მმართველი პარტიის სიაში ჩასმას მოითხოვდა და ქედის მაჟორიტარ დეპუტატად გაყვანას ცდილობდა. გავრცელებული ინფორმაციითვე, სახელისუფლებო გუნდთან ნინო ბურჯანაძის მაშინდელი უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს საკითხი გახდა.

ეს ინფორმაცია გუშინვე დადასტურა უმრავლესობის ვიცე-სპიკერმა მიხიელ მაჭავარიანმა. მისი თქმით, ავალიანის მმართველი პარტიის სიაში ჩასმას ნინო ბურჯანაძემ მართლაც მოითხოვა და ქედის მაჟორიტარადაც ჰყავდა წარდგენილი. მიხიელ მაჭავარიანის ინფორმაციითვე, კიდევ ერთი დაკავებულის გიორგი ბოლაშვილის მამა ვასო ბოლაშვილი ნინო ბურჯანაძეს სიღნაღის მაჟორიტარობის კანდიდატად ჰყავდა დასახელებული.

"პირადად მე და რამდენიმე ჩემს მეგობარს ნამდვილად გვქონდა ამ კანდიდატურებთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ამ ადამიანების ყოფნა "ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო სიაში სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეიძლებოდა. ავალიანთან დაკავშირებით წინააღმდეგობა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ თავის დროზე, მისი სახელი ასლან აბაშიძესთან იყო დაკავშირებული. გიორგი ბოლაშვილის მამა ვასო ბოლაშვილი კი ჩვენთვის მიუღებელი იყო იმის გამო, რომ მისი ბიზნესი გარკვეულ ეჭვებს იწვევდა," - განმარტა მიხიელ მაჭავარიანმა.

"უთავოდ" დარჩენილი ჩხეთი და ევროკავშირი

პირველი გვერდიდან

მმართველმა კოალიციამ და ოპოზიციამ ზუსტად თანაბრად გაიყვეს 200 სადეპუტატო მანდატი და ამა თუ იმ კანონპროექტის მიღება წმინდა შემთხვევითობის წყალობით ხდებოდა.

სამშაბათამდე, როცა ოპოზიციას მხარი დაუჭირა მმართველი პარტიის წარმომადგენელმა ოთხმა დეპუტატმა, "სოციალ-დემოკრატებსა" და "კომუნისტებს" კონსოლიდირებულად მოქმედება არ გამოუვიდათ. ჩეხეთის მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა 101 დეპუტატმა, ხოლო ტოპოლანეკის მომხრე მხოლოდ 96 კანონმდებელი აღმოჩნდა, რის გამოც მთავრობას გადადგომა მოუწია, - იუწყება "როიტერი". ეს საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან მთავრობის გადაყენების პირველი შემთხვევაა დამოუკიდებელი ჩეხეთის ისტორიაში.

თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩეხეთი ამჟამად ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაა და სწორედ ტოპოლანეკი წარმოადგენს ევროპას სამიტებსა და მოლაპარაკებებს.

ქვეყნის შედეგების გათვალისწინებით, პრემიერმა საჯარო განცხადება გააკეთა ჟურნალისტთათვის და აღნიშნა, რომ მზად არის, უარი თქვას უფლება-მოვალეობაზე ევროკავშირის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების გავლის შემდეგ. მიუხედავად ტოპოლანეკის გეგმიური სტრატეგიისა, რის შემდეგაც გადადგომის შესახებ თხოვნით უკვე ჩეხეთის პრეზიდენტ ვაცლავ კლაუსს მიმართეს, როგორც ამას ქვეყნის კონსტიტუცია ითვალისწინებს.

"მე ვემორჩილები კონსტიტუციურ წესრიგს," - განაცხადა მირეკ ტოპოლანეკმა.

რაც შეეხება ჩეხეთში მთავრობის გადადგომის შესახებ თავად ევროკომისიის პოზიციას, აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული ვნებათაღელვა არ მოჰყოლია და ევროკომისიის თავმჯდომარის განცხადებით, მხარდაჭერას უცხადებენ მირეკ ტოპოლანეკს.

"ბრიუსელში დარწმუნე-



მიროსლავ ტოპოლანეკი: "მე ვემორჩილები კონსტიტუციურ წესრიგს"

ბულნი არიან, რომ ჩეხეთი მომავალშიც შეძლებს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ფუნქციისთვის ეფექტიანად თავის გართმევას, როგორც ეს დღემდე ხდებოდა. შიდა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა ჩეხეთის დემოკრატიული პროცესების პრეროგატივაა კონსტიტუციის გათვალისწინებით," - აღნიშნულია ევროკავშირის ხელმძღვანელობის ოფიციალურ განცხადებაში.

ტოპოლანეკის აზრით კი, მინისტრთა კაბინეტის შეცვლამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეასუსტოს ჩეხეთის ხელისუფლების პოზიციები ევროკავშირის ფარგლებში წარმოებულ მოლაპარაკებებზე.

"თუმცა, აქვე მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ოფიციალური პრეზიდენტი ამ სირთულესაც გაუმკლავდება," - აღნიშნა ასევე ტოპოლანეკმა.

მირეკ ტოპოლანეკის დათხოვნა ვაშინგტონში დაგეგმილი ვიზიტის წინა დღეს დაემთხვა. ვაშინგტონში ტოპოლანეკი ბარაკ ობამას უნდა შეხვედროდა და მთელი ევროკავშირის პოზიცია წარმოედგინა.

რაც შეეხება რუსეთის პოზიციას ჩეხეთში დაწყებული სამთავრობო კრიზისის მიმართ, ჯერჯერობით მკვეთრად არ

არის გამოხატული. ოფიციალურ მოსკოვს პრალასა და ვარშავასთან ურთიერთობები მას შემდეგ დაეძაბა, რაც ამ ქვეყნების ტერიტორიაზე ამერიკული რაკეტ-სანიანალმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსება გადაწყდა. მართალია, კრემლის მხრიდან ტოპოლანეკის მთავრობის გადადგომაზე ჯერ ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა, მაგრამ ნატო-ში რუსეთის ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა თავისი პოზიცია უკვე გამოხატა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ შემთხვევაში როგოზინმა ჩეხეთის მთავრობისადმი პარლამენტის უნდობლობა მისი მკვეთრად პროამერიკული პოზიციით ასხსნა.

"მიმანია, რომ რაკეტსანიანალმდეგო ფარის ჩეხეთის ტერიტორიაზე განთავსების გადაწყვეტილება ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახდა ჩეხი დეპუტატების პრეტენზიების მთავრობის მიმართ, რომელსაც ტოპოლანეკი ედგა სათავეში," - თქვა დიმიტრი როგოზინმა საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსთან" საუბრისას.

ერთი კვირის წინ, 17 მარტს, ჩეხეთის მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა, უკან გამოეწვია პარლამენტში რატიფიცირების-

თვის შეტანილი დოკუმენტი ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული რადიოლოკაციური სადგურების განთავსების შესახებ, შესაძლოა მისი ჩავარდნის თავიდან აცილების მიზნით.

თუმცა, მემარცხენე ძალებთან დამარცხების მიუხედავად, ტოპოლანეკს მაინც აქვს პრემიერის თანამდებობის შენარჩუნების შანსი, რადგან მისი "სამოქალაქო დემოკრატიული პარტია", რომელმაც 2006 წელს გამართულ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა, ძველებურად უმსხვილეს ძალად რჩება პარლამენტში. გარდა ამისა, კაბინეტის ხელმძღვანელის მოვალეობების შესრულება მას 1 ივლისამდე შეუძლია, მთავრობის ფორმირების ვადებზე საბოლოო გადაწყვეტილება კი პრეზიდენტმა კლაუსმა უნდა მიიღოს.

თუმცა, პარლამენტარებისგან შესაძლოა წინააღმდეგობის გათვალისწინებით, ტოპოლანეკისთვის იქნებ უფრო მომგებიანიც აღმოჩნდეს, თუკი ქვედა პალატის დეპუტატების დათხოვნას მოითხოვს. მორიგი არჩევნები 2010 წელს უნდა ჩატარდეს.

"ვფიქრობ, უნდობლობის ვოტუმის გამოტანას ხელი შეუწყობს სამოქალაქო დემოკრატიული პარტიის" მზარდმა პოპულარობამ. "სოციალ-დემოკრატები" ლიდერის პოზიციას ნელ-ნელა ემშვიდობებიან, ეს კი ქვეყანას მხოლოდ ქაოსს უქადის," - განაცხადა პრემიერმა.

დაბოლოს, აღმოსავლეთ ევროპაში, რომელზეც მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე მძიმედ იმოქმედა, ეს ბოლო დროს მთავრობის გადადგომის უკვე მესამე შემთხვევაა. ახლახანს თანამდებობა დატოვა უნგრეთის "სოციალისტმა" პრემიერმა ფერენც დიურჩანმა - სწორედ არაპოპულარული ანტიკრიზისული ღონისძიებების გამო. მანამდე კი ანტისამთავრობო დემონსტრაციების ტალღამ ლატვიას გადაუარა, სადაც პრეზიდენტი ვალდის ზატლერ-სი მოქალაქეების მასობრივი უკმაყოფილების გამო იძულებული გახდა, ივარს გოდმანისი პრემიერის თანამდებობიდან გაეშვა.

პენტაგონი ლექსიკონიდან ამოიღებს ფრაზას - "ტერორიზმთან გლობალური ომი"

ამერიკის ადმინისტრაციული და საბიუჯეტო მმართველობა პენტაგონს ურჩევს, საკუთარი ლექსიკონიდან ამოიღოს ფრაზა - "ტერორიზმთან გლობალური ომი". ტერმინი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დროს საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაციებზე საუბრისას საკმაოდ აქტიურად იხმარებოდა. "ვაშინგტონ პოსტის" ცნობით, ძველი ტერმინის ნაცვლად, ამერიკის თავდაცვის უწყებაში ახლა უკვე ხმარებაში შემოვა ახალი ტერმინი - "უსივითის განსაკუთრებული მნიშვნელობის ოპერაცია". შესაბამისი ელექტრონული წერილები უკვე დაეგზავნათ უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობას და პენტაგონის მომხსენებლებს. ამერიკის ადმინისტრაციული და საბიუჯეტო მმართველობის ინიციატივას ოფიციალური დოკუმენტის სახე არა აქვს და იგი მხოლოდ რეკომენდაციური ხასიათისაა. ამერიკის ხელისუფლება, ტერმინ "ომის" თავიდან ასაცილებლად, არსებული ფრაზის შეცვლას ჯერ კიდევ ბუშის ადმინისტრაციის დროს ცდილობდა. სწორედ ამ ტერმინის გამო რუსეთმა 2008 წელს საქართველო-რუსეთის ომს "მშვიდობის აღდგენისკენ მიმართული ოპერაცია" უწოდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

რუსეთს ჩეჩენი მეამბოხეების წინააღმდეგ მიმდინარე სამხედრო ოპერაციის დასრულება სურს

ჩეჩენეთში კონტრტერორისტული ოპერაცია, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ოფიციალურად 2009 წლის მარტში დასრულდება. ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას ქვეყნის პირველმა პირმა რამზან კადიროვმა განაცხადა. მისი თქმით, ტერორისტებთან ბრძოლა ჩეჩენეთში "დიდი ხანია, დასრულებულია" და ოფიციალურ დოკუმენტს ხელი 30-31 მარტს მოეწერება. კადიროვმა ასევე აღნიშნა, რომ "ჩეჩენმა ხალხმა მოიგო ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმთან". ამასთან, კადიროვმა დაამატა, რომ მთებში ბოვიეკები ჯერ კიდევ იმალებიან. "ეს ხე ბოვიეკები არიან, რომლებსაც არ შეუძლიათ იარაღის დაყრა და დანებება, რადგან მათ უკან სისხლიანი წარსულია," - განაცხადა ჩეჩენეთის პრეზიდენტმა. პრეზიდენტის განცხადებით, კავკასიაში ექსტრემიზმთან ბრძოლისათვის აუცილებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ტელევიზიისა და რადიოს გამოყენება, ასევე სასულიერო პირების გააქტიურება, რათა გაზარდული ხალხი ტყიდან დაეზარუნოთ," - დასძინა კადიროვმა.

ცნობისათვის, ე. წ. კონტრტერორისტული ოპერაცია - "მეორე ჩეჩენეთის ომი" - თითქმის 10 წლის მანძილზე გრძელდებოდა. ჩეჩენი მეამბოხეები რუსული აგრესიისა და იჩქერიის დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან. **საკუთარი ინფორმაცია**

გაზსადენ "ნაბუკოს" პროექტი შეიძლება 2013-2015 წლებამდე ვერ განხორციელდეს

გაზსადენ "ნაბუკოს" პროექტის რეალიზაციის ვადა 2013-2015 წლებამდე გადაინეწეს, იუწყებიან აზერბაიჯანული საინფორმაციო საშუალებები. პროექტის განხორციელებაში ყველაზე რთულია გაზსადენისთვის სარესურსო ბაზის უზრუნველყოფა. ბუნებრივი აირის წყაროები "ნაბუკოსისთვის" შეიძლება გახდეს რუსეთი, ირანი და თურქმენეთი. თუმცა, ამ ქვეყნების საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ უცნობია. რუსულმა კომპანიამ "გაზპრომმა" გააკეთა განცხადება, რომ რუსეთი არ აპირებს პროექტში ჩართვას. რუსეთისგან განსხვავებით, ირანის ხელისუფლების ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ეს ქვეყანა "ნაბუკოს" პროექტში ჩართვით დაინტერესებულია. თუმცა, აშშ-ირანის დაძაბული ურთიერთობები ამ მონაწილეობას ეჭვქვეშ აყენებს. ყველაზე დიდი პარადოქსი ის არის, რომ ევროპის ქვეყნებს, რომლებიც რუსეთის ბუნებრივ აირზე დამოკიდებულებისგან თავის დაღწევას ცდილობენ, "ნაბუკოსთან" ერთად, რუსული გაზით სარგებლობაც უნდათ. ექსპერტები აღნიშნულ პროექტში რუსეთის მონაწილეობას თავდაპირველად ათარეალურად მიიჩნევდნენ, თუმცა მოგვიანებით მათი აზრი შეიცვალა. აზერბაიჯანის ეროვნული კრების ეკონომიკური პოლიტიკის კომისიის წევრ ვაჰიდ ახმედოვის აზრით, "ნაბუკო" რთულად განსახორციელებელი პროექტია. მისი თქმით, გაზსადენის გამტარუნარიანობა 31 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირია, აზერბაიჯანს კი ამ რაოდენობის ნედლეული არა აქვს, ამიტომ გაზსადენის შესავსებად შესაძლოა, რუსეთის, ირანისა და კატარის ბუნებრივი აირის გამოყენება გახდეს საჭირო, თუმცა ეს ქვეყნები მსოფლიო ბაზარს 40 პროცენტით ისედაც ამარავებენ და მათ ახალი მარშრუტები არ სჭირდებათ. ამასთან, ძვირადღირებული გაზსადენის ამგვარზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ბუნებრივი აირის წყაროები გამოიძენება, გლობალური ფინანსური კრიზისიც იმოქმედებს. ვაჰიდ ახმედოვი ვარაუდობს, რომ ამ ფაქტორების გამო გაზსადენის მშენებლობის პროექტი 2013-2015 წლებამდე "გაჭიანურდება". **მედიანიუსი**

სს "საქართველოს ბანკის" მომხმარებლები ტაქსით მგზავრობას 50%-იანი ფასდაკლებით შესძლებენ

თბილისის მოსახლეობას, ახალი ტიპის ექვსი ტაქსი Orange Cab ემსახურება. Orange Cab- ით მგზავრობას, "საქართველოს ბანკის" საკრედიტო ბარათის "Orange Card" - ის მფლობელები 50 %-იანი ფასდაკლებით შეძლებენ.

ტაქსები საგანგებო შეკვეთით, ლონდონის საავტომობილო ბარათად აღიარებულმა კომპანიამ, "London Taxi International" -მა დაამზადა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბანკის კორპორატიული ფერის ტაქსები, კომპანიამ, ექსკლუზიურად, "საქართველოს ბანკისთვის" დაამზადა.

ექვსი ცალი Orange Cab, აღჭურვილია უახლესი LCDD მონიტორებით (რომლის ანალოგი ევროპაში არ არის), აგრეთვე OPOS ტერმინალებით, მგზავრს კი შესაძლებლობა ეძლევა, მგზავრობის დასრულებითანავე, მგზავრობის საფასურის ქვითარი მიიღოს. Orange Cab-ებს, საგანგებოდ შერჩეული მძღოლები მართავენ, რომლებიც, ავტომობილის მართვის ცოდნის გარდა, დანერგული ინფორმაციის ფლობენ ნებისმიერ საბანკო პროდუქტთან დაკავშირებით, და ტაქსით მგზავრობის მსურველებს, სრულყოფილ საბანკო კონსულტაციას გაუწევენ.

"საქართველოს ბანკის" სტრატეგიული პროექტების უფროსი მენეჯერი ლუკა ლომია აცხადებს, რომ ამ დონის ტაქსები საქართველოში პირველია და სულ მალე უკვე არსებულ 6 ტაქსს კიდევ რამოდენიმე დაემატება.

"საქართველოს ბანკის" ტაქსებით სარგებლობა ყველა ადამიანს შეუძლია, ტაქსი მოძრაობს მთელს ქალაქში და აჩერებს ყველგან. გამომძახების სისტემა ჯერ არ გვაქვს თუმცა თუ ერთხელ უკვე იმგზავრა ადამიანმა შეუძლია გამოართვას კოორდინატები მძღოლს და საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდეს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ტაქსით მგზავრობა მოსახერხებელია ინვალიდის ეტლში მსხლტომი ადამიანებისათვის, რადგან მანქანის კარები იმდენად იღება რომ ეტლი მთლიანად ეტევა. გზავრობის საფასური გადახდა შესაძლებელია როგორც ქვით, ისე "ორენჯ ქარდით". "ორენჯ ქარდით" გადახდის შემთხვევაში მგზავრი 50%-ით ნაკლები თანხას იხდის. გამომძახების შემთხვევაში მგზავრობის საფასურს 2 ლარი ემატება, ერთი კილომეტრიც გავლა 90 თეთრია, თუმცა შესაძლებელია მგზავრი ინდივიდუალურად შეუთანხმდეს საფასურზე მძღოლს. აღსანიშნავია მძღოლების პროფესიონალიზმი, 400 მსურველიდან მხოლოდ 7 შეეარჩიეთ, ყველა მათგანმა იცის ინგლისური ენა. ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა." - აღნიშნა "საქართველოს ბანკის" სტრატეგიული პროექტების უფროსმა მენეჯერმა ლუკა ლომიამ.

ბილ კლინტონისა და მონიკა ლევისკის ცნობილ სკანდალზე ფილმს გადაიღებენ

აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტ ბილ კლინტონისა და პრაქტიკანტ მონიკა ლევისკის ცნობილ სკანდალზე ფილმს გადაიღებენ, რომლის სახელწოდებაც იქნება "განსაკუთრებული ურთიერთობები". ამის შესახებ ინფორმაციას გამოცემა North Denver News-ი ავრცელებს. ფილმში ჰილარი კლინტონის როლს ჯულიანა მური შეასრულებს, ყოფილი პრეზიდენტის როლს კი დენის კუეიდი განასახიერებს. გადაღებები აშშ-სა და ბრიტანეთში 2009 წლის ივლისში დაიწყება. **ჯი-ეი-ენი**

ბერლესკონიმ მსოფლიო ფინანსურ კრიზისს "ამერიკელი გრიპი" უწოდა

იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლესკონიმ მსოფლიო ფინანსურ კრიზისს "ამერიკული გრიპი" უწოდა. "ვირუსი, რომელიც იტალიის ეკონომიკის ჯანმრთელ სხეულს შეეყარა," - ეს განცხადება ბერლესკონიმ ახალი სწრაფმავალი მატარებლის "ნითელი ისრის" მემანქანის როლში გამოსვლისას გააკეთა. პრემიერის თქმით, იტალია თავისი ჯანსაღი საბანკო სისტემისა და პირადი დავალიანების დაბალი მაჩვენებლის წყალობით მალე შეძლებს კრიზისის დაძლევის, თუმცა ამისათვის მთავრობას კიდევ უფრო მეტი მუშაობა დასჭირდება. **მედიანიუსი**

დმიტრი მედვედევი 31 მარტს გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს შეხვდება

რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი 31 მარტს გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს შეხვდება. კრემლის პრესსამსახურის ინფორმაციით, მედვედევის სამუშაო ვიზიტი გერმანიაში ანგელა მერკელის მიწვევით ხორციელდება. "ბერლინი უმაღლეს დონეზე დაგეგმილი მოლაპარაკებებზე განსაკუთრებული ყურადღება 1-2 აპრილისთვის ლონდონში დაგეგმილი "დიდი ოცეულის" სამიტის კონტექსტში მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ პრობლემასთან დაკავშირებით," - ნათქვამია პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. მისივე ცნობით, "ასევე იგეგმება რიგი აქტუალური საკითხების განხილვა, მათ შორის რუსეთ-გერმანიის თანამშრომლობის პერსპექტივებისა სავაჭრო-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში". **პირველი**

რამზან კადიროვის განცხადება

ჩეჩნეთის პრეზიდენტ რამზან კადიროვის მტკიცებით, "ახმედ ზაკაევი ჩეჩნეთში რუსეთის პოლიტიკას მიესალმება". როგორც კადიროვმა განაცხადა, "ზაკაევი ჩეჩნეთში რუსეთის ფედერაციის პოლიტიკას მიესალმება, მაგრამ ამის გახმოვანება არ შეუძლია, რადგან ათი წელი დარბოდა. ზაკაევი და საზღვარგარეთ მიმავალში მყოფი სხვა ექსტრემისტები მზად არიან ჩეჩნეთში, ჩეჩნეთთან დაბრუნდნენ, ჩეჩნეთთან ერთად ემსახურონ ჩეჩენ ერს. ისინი საუბრობენ ჩეჩენს ენაზე. ეს ჩეჩენი დიდი გამარჯვებაა," - განაცხადა კადიროვმა, რომლის მტკიცებით, ეს ყველაფერი მასთან სატელეფონო საუბრისას ზაკაევმა დაადასტურა. "ჩეჩნეთი ახალ ცხოვრებას ამეწებს იჩქერის ყოფილი ლიდერების გარეშე. ხალხმა ისინი დაივიწყა და სწყევლის მათ," - დასძინა მან. **პირველი**

ამერიკული უპილოტო თვითმფრინავის იერიში ავღანეთის ტერიტორიაზე

"ფრანს პრესის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სარაკეტო იერიშის შედეგად, რომელიც ამერიკულმა უპილოტო საფრენმა აპარატმა პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე მიიტანა, ექვსი ადამიანი დაიღუპა. ინციდენტი სამხრეთ ვაზირისტანის ტომობრივ ოლქში მოხდა. "შეტევა მაკინის რაიონში განხორციელდა, სოფელ ლადაპას ჩრდილო-დასავლეთით 12 კილომეტრის დაშორებით. ავიაიერიშის შედეგად ექვსი ბოევიკი განადგურებული," - განაცხადა "ფრანს პრესს" პაკისტანის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა. 2008 წლის დასაწყისიდან ამერიკულმა უპილოტო საფრენმა აპარატებმა 30-ზე მეტი სარაკეტო დარტყმა განახორციელეს პაკისტანის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე, საიდანაც, შეერთებული შტატების მოწოდებით, ავღანელი ბოევიკები იღებენ დახმარებას. სამხრეთ ვაზირისტანის ტომობრივი ოლქი შედის ე.წ. ტომების ზონაში, რომელიც ავღანეთის საზღვრებამდეა გადაჭიმული. აღნიშნულ ტერიტორიაზე ძალაუფლება ბელადებსა და უხუცესებს აქვთ აღებული. სპეცსამსახურების ინფორმაციით, ტომების ზონაში თავშესაფარი ჰპოვა მრავალმა ისლამისტმა ბოევიკმა რომლებიც "ალ-კაიდასა" და "თალიბების" დაჯგუფებების აქტიური წევრები იყვნენ. **ფრანს პრესი**

ობამა ამერიკელებს ეკონომიკის აღორძინებას ჰპირდება

ივა შილაკაძე

პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ამერიკის ეკონომიკაში აღორძინების ნიშნები გამოჩნდა, მაგრამ შეერთებული შტატების მოქალაქეებმა მოთმინება უნდა გამოიჩინონ და მხოლოდ საკუთარ მოკლევადიან ინტერესებზე არ უნდა იფიქრონ.

შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი პროექტის შესახებ ამერიკის პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე ილაპარაკა. პროექტი, მისი სიტყვებით, ამჟამინდელი კრიზისის გამორეების შესაძლებლობას გამოიცხადებს. "ჩვენ შევძლებთ რეცესიის დამარცხებას, მოვაზადეთ კომპლექსური სტრატეგია, რომლის საშუალებითაც უნდა შევებრძლოთ კრიზისს ყველა ფრონტზე და ჩვენ უკვე ვამჩნევთ პროგრესის ნიშნებს," - აღნიშნა ბარაკ ობამამ.

"ბიუჯეტი, რომელიც კონგრესს წარუდგინე, დაგვეხმარება, ჩვენი ეკონომიკის აღორძინებას უფრო მყარი საფუძველი შევუქმნათ, რათა ჩვენ ასეთ კრიზისს 10 ან 20 წლის შემდეგ კიდევ არ შევეჩხვოთ, - განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა. - ჩვენ მივიღეთ რთული, მაგრამ აუცილებელი გადაწყვეტილებები, რაც საშუალებას მოგვცემს, ბიუჯეტის დეფიციტი ორჯერ შევამციროთ, ყველაზე პესიმისტური პროგნოზებით - ჩემი პირველი საპრეზიდენტო ვადის ბოლოსთვის," - განაცხადა პრეზიდენტმა. მისი თქმით, 3,6 ტრილიონი დოლარის მოცულობის ბიუჯეტის პროექტი გულისხმობს ჯანდაცვის სისტემის განმტკიცებას, სახსრების გაზრდას უმაღლესი განათლებისთვის, აგრეთვე



ბარაკ ობამა

AFP - 2009

შეზღუდვების შემოღებას ატმოსფეროში მავნე ნარჩენების გაშვებაზე.

ობამამ აღნიშნა, რომ მისი ეკონომიკური სტრატეგია მიმართულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, უძრავი ქონების ბაზრის გამოცოცხლებაზე, აგრეთვე ბანკების ლიკვიდურობისა და საკრედიტო რესურსების ზრდაზე.

სულ მალე თავისი ინიციატივების დაცვა პრეზიდენტს "დემოკრატ" სენატორებთან შეხვედრისას მოუწევს. ბიუჯეტის საკუთარ პროექტს ამუშავებს წარმომადგენელთა პალატის შესაბამისი კომიტეტი, პარალელურად 2010 წლისა და მომდევნო ოთხი წლის სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების პროექტს სენატის საბიუჯეტო კომიტეტი შეად-

გენს. კონგრესის წევრებთან შეხვედრისას ობამას და მის მინისტრებს მოუწევთ ბიუჯეტის გაზრდილი დეფიციტის დაცვა, რომელიც გაიხსნის 1,4 ტრილიონი დოლარის ფარგლებში.

"რესპუბლიკური პარტიის" წევრების უმრავლესობა ობამას პროექტის წინააღმდეგ გამოდის. აღნიშნავენ, რომ პროექტი ზედმეტად ზრდის სახელმწიფო ხარჯებს, აგრეთვე გადასახადებს მდიდარი ამერიკელებისა და მცირე ბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენლებისთვის. "რესპუბლიკელთა" ნაწილმა განაცხადა, რომ ობამას ბიუჯეტი ისტორიაში ყველაზე უპასუხისმგებლოა. კონგრესის მონაცემებით, ამ პროექტის რეალიზაცია მომდევნო ათი წლის განმავლობაში 9,3 ტრილიონი დოლარის დეფიციტს შექმ-

რაკეტსანინააღმდებო სისტემები ნატო-ს დღის წესრიგში

მარიკა იაშვილი

ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები თავის რუს კოლეგებს ჯერ კიდევ ზაფხულის დადგომამდე შეხვედებიან. მოლაპარაკებაზე განსახილველ საკითხთა შორის ერთ-ერთი რაკეტსანინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები იქნება. მომავალი შეხვედრებისა და მისი მთავარი თემების შესახებ აშშ-ში გერმანიის ელჩმა ისაუბრა.

გერმანიის ელჩი კლაუს შარიოთი მიიჩნევს, რომ ნატო-სა და რუსეთს შორის უმაღლესი დონის კონტაქტის აღდგენა შარშანდელი რუსულ-ქართული კონფლიქტის შემდეგ ურთიერთობების დათბობის ნიშანია.

"თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ რაკეტსანინააღმდეგო სისტემები აუცილებელია, ეს საკითხი განსახილველად რუსეთ-ნატოს საბჭოს უნდა გადაეცეს," - განაცხადა შარიოთმა აშშ-ს გეგმების შესახებ, რაც აღმოსავლეთ ევროპაში, კონკრეტულად კი ჩეხეთისა და პოლონიის ტერიტორიაზე ამერიკული რაკეტსანინააღმდეგო ელემენტების განლაგებას გულისხმობს და რომელთა განხორციელებასაც ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ცდილობდა.

ობამას გუნდი ამ გეგმების მიმართ ნაკლებ ენთუზიაზმს აცხადებს და აცხადებს, რომ მათი

განხორციელება, შესაძლოა, უსარგებლოც კი გახდეს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი აშშ-სთან ითანამშრომლებს და ირანს დაარწმუნებს, უარი თქვას თავის ბირთვულ პროგრამასა და შორეული მოქმედების რაკეტების შექმნაზე.

შარიოთის სიტყვებით, რაკეტსანინააღმდეგო სისტემების საკითხის რუსეთ-ამერიკის საბჭოს ფარგლებში განხილვა არა მხოლოდ კარგი მაგალითი იქნება იმისთვის, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ სასარგებლოდ 2002 წელს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა და მისი მთავარი მონინააღმდეგის ურთიერთობისთვის ოფიციალური სტატუსის მიმინიჭებით ეს ფორუმი, არამედ ირანს დაანახებს, რომ ნატო და აშშ ერთსა და იმავე საქმეს და, რაც მთავარია, ერთად აკეთებენ.

ამერიკის მენარმეთა ინსტიტუტის რუსულ გამოცელებათა დირექტორი სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებში ლეონ არონი ცხადებს, რომ რაკეტსანინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების საკითხი, საბოლოო ჯამში, რუსეთ-ამერიკას შორის ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად უნდა გადაწყდეს.

"მოცუვის აზრით, ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები, როგორც ირანი და რაკეტსანინააღმდეგო სისტემებია, რუსეთსა და აშშ-ს შორის

უნდა გადაწყდეს, - აცხადებს შარიოთი, - ვეროპასთან კი ის მეორე და შესაძლებლობისგან პრობლემებზე ლაპარაკობს, მაგალითად ისეთებზე, როგორც ენერჯეტკაა."

შარიოთის თქმით, მისასალმებელია, რომ ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ პირდაპირი პასუხი გასცა ბარაკ ობამას მილოცვას ირანული ახალი წლის დადგომის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ აიათოლა ხამენეიმ ობამა ეთნიკური სეპარატისტების მხარდაჭერაში დაანაშაულა და მოუწოდა, უარი თქვას ირანელის დახმარებაზე, შარიოთმა მის მიმართვაში დადებით მხარეც დაინახა.

"ჩვენ დადებით მოვლენად მიგვაჩნია ის, რომ ირანის მხრიდან მილოცვას რელიგიურმა ლიდერმა უპასუხა, -- განაცხადა გერმანიის ელჩმა, - თუ გავანალიზებთ მის ნათქვამს, მაშინ გასაკვირი გახდება, რომ მას არც ერთი კარი არ დაუხურავს."

შარიოთმა ისიც აღნიშნა, რომ მომავალი კვირისთვის ლონდონში დაგეგმილ "ოცეულის ჯგუფის" ქვეყნების სამიტზე კონცენტრირება ფინანსური ბაზრების რეგულირებასა და მსოფლიო პროცესებთან ბრძოლის ეკონომიკურ სტიმულირებაზე უნდა მოხდეს. შარიოთის განცხადებით, ფინანსური ბაზრის, განსაკუთრებით კი მათი სტიმულირების რე-

ნის. "რესპუბლიკელები ამ პროექტს პრაქტიკულად მხარს არ უჭერენ, - განაცხადა რესპუბლიკური უმცირესობის ლიდერმა სენატში მიტჩ მაკკონელმა, - თუ ეს გეგმები განხორციელდება, ჩვენ შეიძლება, მესამე სამყაროს ქვეყნებს დავემსგავსოთ." ობამას პროექტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ხარჯების ზრდას წარმომადგენელთა პალატის "დემოკრატ" წევრებიც ეწინააღმდეგებიან. "გასაგებია, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში ჩვენ მოვიწვევს დეფიციტის გაზრდა და ვალების აღება ეკონომიკის ნამოსანვედ, მაგრამ უფრო გრძელვადიანი გეგმით ჩვენ პირით უნდა მოვიქცეთ, განაცხადა "დემოკრატმა" სენატორმა კენტ კონრადმა, რომელიც სენატის საბიუჯეტო კომიტეტს ხელმძღვანელობს.

ბარაკ ობამამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თუ უახლოეს პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები არ ჩადებს ინვესტიციას ინფრასტრუქტურულ პროექტებში, მეცნიერებაში, ჯანდაცვასა და მაღალ ტექნოლოგიებში, ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს სტაბილურ განვითარებას და მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანი ვერ იქნება.

პრესკონფერენციაზე ობამამ ურნალისტებს სხვა თემაზე დასაძლ კითხვებზეც უპასუხა. საერთაშორისო საკითხებზე საუბრისას აშშ-ს პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ "თანდათანობით პროგრესს" მიღწევა მოხერხდება ირანთან ურთიერთობებში. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მისი ადმინისტრაცია მომავალშიც ხელს შეუწყობს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარებას, პალესტინის სახელმწიფოს შექმნასა და ისრაელთან მის მშვიდობიან თანარსებობას.

გულირების უუნარობამ "დიდი წვლილი შეიტანა კრიზისის წარმოქმნაში." "ფინანსური ბაზარი არასაკმარისად რეგულირდებოდა," - აცხადებს ის.

ელჩმა ისიც აღნიშნა, რომ გერმანიაში ეკონომიკური დახმარებისა და სტიმულირების პაკეტი, რომელიც თავისი მოცულობით მსოფლიოში ჩინეთისა და აშშ-ს შემდეგ მესამე ადგილს იკავებს, ქვეყნის თავისუფალი შიდა პროდუქტის 5 პროცენტს აღემატება, რაც საერთაშორისო სავაჭრო ფონდის ნორმებს შეესაბამება. მასში ჩართულია მოკლე საბიუჯეტო დღის ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამის ღირებულებაც. ამ პროგრამის შესაბამისად, დამქირავებლების მიერ სამუშაო დღის შემცირების შემთხვევაში, ხელისუფლება დაკარგული ხელფასის 67 პროცენტის კომპენსირებას ახორციელებს.

შარიოთი მიიჩნევს, რომ აშშ-მ და გერმანიამ პროტექციონიზმთან ბრძოლაში წამყვანი როლი უნდა შეასრულონ.

"თუ გერმანია პროტექციონიზმს გამოამყვანებს, მის მაგალითს მთელი ევროპა მიბაძვს, რადგან გერმანიას ევროპაში ყველაზე დიდი ეკონომიკა აქვს," - განაცხადა ელჩმა. მისი აზრით, მსოფლიოს ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყანას აშშ-ს ზუსტად ასეთივე ვალდებულება აკისრია.

რევოლუ



ვინ თქვა, რომ ბორბალი მაინც და მაინც მრგვალი უნდა იყოს. ამ საყოველთაოდ მიღებულ წესს დიდი ხანია არღვევს გერმანელი დიზაინერი დიდი სენტფი. რომელსაც ელ დიაბოლოს სახელი-
თაც იცნობენ. მას ძალიან უყვარს უცნაური კონსტრუქციის მქონე ველოსიპედების გამოგონება. ერთ-ერთ მათგანს კი ამ ფოტოზეც ხედავთ. ელ დიაბოლოს გამოგონებები გინესის რეკორდების
ნიგნშიცაა შეტანილი. როგორც ყველაზე უცნაური კონსტრუქციები.

თეატრის საერთაშორისო დღე თბილისში

თეატრის მხატვრობა 1920-1950

თამარ კიკნაველიძე

ხვალ თეატრის საერთაშორისო დღეა, რომელსაც რუსთაველის თეატრში უკვე მეორე წელია, რაც გამოფენის გახსნით აღნიშნავენ.

გასული წლის 27 მარტი თეატრალეზმა სანდრო ახმეტელის საოუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ექსპოზიციით იზეიმეს. მასალა რუსთაველის თეატრის მუზეუმის სხვადასხვა ფონდიდან შეიკრიბა და ფოიეში გამოიფინა, გამოიკა ამ გამოფენის ამსახველი მცირე კატალოგი. ამჯერად კი, დამთავლიერებელს საშუალება ეძლევა ამავე მუზეუმში დაცული ესკიზების, და არა მხოლოდ მათი, გამოფენა დაათვალიეროს.

თუმცა, ამ დღის მთავარი მოვლენა იმ კატალოგის პრეზენტაციაა, რომელიც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, ასევე, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა და გამოიკა.

კატალოგში 1920-1950-იან წლებში, რუსთაველის თეატრის სპექტაკლებისთვის შექმნილი ნამუშევრებია შესული. კერძოდ, ისეთი ავტორებისა, როგორებიც არიან: ირაკლი გამრეკელი, მიხეილ შავიშვილი, ვალე-



მ.შავიშვილი "დებურტირკა".

რიან სიდამონ-ერისთავი, ლ. გუდი-აშვილი, გ. იაკულოვი, პელიონკინი, დიმიტრი თავაძე, სერგო ქობულაძე, თამარ აბაკელია, ალექსანდრე თევზაძე, ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე, იოსებ შარლემანი, მიხეილ გოცირიძე, სოლიკო ვირსალაძე, კორნელი სანაძე, ირინა შტენბერგი, კირილე ზდანევიჩი.

ამ გამოცემაში საზოგადოების ინტერესი უკვე გამოიწვია. მის მომზადებას კი წინ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით განხორციელებულ სამუშაოთა ციკლი უსწრებდა. ასეთი მნიშვნელოვანი კოლექციის პასპორტიზაციისას, იურიდიული სტატუსი ათეულობით ესკიზს მიენიჭა. საფონდო სამუშაოებს უძღვებოდა ამ თეატრის მუზეუმის კოლექციითა შემსწავლელი კომისია, ხელოვნებათმცოდნეების: ელენე თუმანიშვილის, დალი ლებანიძის, მარია-ნა ოკლეის, ნინო ვაჩეიშვილის მონაწილეობით. მათვე ეკუთვნით ტექსტი ალბომისა, რომელიც გამოსაცემად მაია ციციშვილმა და ნინო ვაჩეიშვილმა მოამზადეს. პროექტის კოორდინატორია ირინე გოგინაშვილი. ქართული ტექსტის ინგლისურად ნინა კიზირიამ თარგმნა.

გაზარქილვათა A11 გვირდვა

დათო ტყეშელაშვილის ხუთშაბათი



იბარია

ამ გაზეთში სვეტების წერა იმიტომ დავიწყე (ფინანსური გამხრევის გარდა), რომ კეთილისმსურველებმა მითხრეს საქართველოს ხელისუფლების უმრავლესობა, სწორედ "24 საათს" კითხულობს და ვიფიქრე ჩემი კრიტიკით, იქნებ ამ ხელისუფლებას მაინც რამეში გამოვადგე-მეთქი.

ვიცი რომ ხსენებულ უმრავლესობაში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი შეიძლება დაიჯეროს რომ კრიტიკაზე სასარგებლო არაფერია ხელისუფლებისთვის, მაგრამ საკუთარ სინდისთან მაინც რომ მართალი ვიყო, ამიტომაც ვწერ ამ უხეირო სვეტებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემი შვილები რომ შემეკითხებიან, ქართველი ხალხი, ჯვარი გვწერია და ბერტოლუჩის ფილმებით რომ გამოუდგა თავისივე ხელისუფლებას ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, შენ რატომ არ დაიცავი საკუთარი ხელისუფლება და შენ ამ დროს რას აკეთებდიო, ვეცევი რომ მინიმუმ კვირაში ერთხელ მაინც ხომ ვაკრიტიკებდი და ამაზე მეტად როგორ დავხმარებოდი-მეთქი.

თუმცა გამოჩენილი ყველა წესს შეიძლება ჰქონდეს და დღეს საქართველოს ხელისუფლებას მხოლოდ თხოვნი მივმართავ, რომლის შესრულებაც (ჩემის ღრმა რწმენით), რადიკალურად შეცვლის საქართველოს ბუნდოვან მომავალს, რადგან თუ მართლა შეეძლება საქართველოს ძველი და ისტორიული სახელის აღდგენა, ამ კრიზისიდან გამოსვლასაც მშვიდობიანად მოვახერხებთ. თუკი სააკაშვილის ხელისუფლებამ შეძლო ძველი ხუთჯვრიანი დროის დაბრუნება, რატომ არ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი ქვეყნის უძველესი სახელწოდება იბერია, რომელიც არამხოლოდ საქართველოში აღმოჩნდნენ ამერიკელები გასული წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, როცა ჯორჯიის შტატის ზოგიერთი გულუბრყვილო მოსახლე, რუსული ავიაციის დაბომბვას საკუთარ სარდაფში ემალებოდა. რასაკვირველია ამერიკელებს შორისაც კი ბევრი მიხვდნენ რომ ახალ ამბებში მოსმენილი ცნობა იმის შესახებ რომ რუსები ჯორჯიას ბომბავდნენ, შორეულ საქართველოს შეეხებოდა, მაგრამ რატომ უნდა გვერქვას სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა სახელი, თუკი უძველესი იბერიელები ვართ.

როგორც ნებისმიერი დროში იკითხება, ასევე ქვეყნის სახელწოდებაც მტყვევლებს ამ ქვეყნის რაობაზე და სახელი იბერია, სწორედ იმას ნიშნავს რომ ჩვენც ძველი იბერიული ევროპის ნაწილი და უძველესი ევროპული ცივილიზაციის მემკვიდრეები ვართ. რადგან ეს მაინც სვეტია და არა სამეცნიერო მოხსენება, ამ ნაბიჯის ყველა დადებით მოტივაციაზე აქ არ ვისაუბრებ, მაგრამ იმას კი ვიტყვი რომ ამ ხელისუფლებას აქვს უნიკალური შანსი, ჩვენი ქვეყნის ისტორიული სახელის აღდგენით, გადადგას პირველი რეალური ნაბიჯი ევროპისკენ, მიუხედავად იმისა რომ ჩვენი საკმაოდ კონსერვატორული ცნობიერებისათვის, საკმაოდ ძნელი იქნება, ასეთი გადაწყვეტილების მიღება. მითუმეტეს ძნელი იქნება მათთვის, ვინც საქართველოს ისტორიას მხოლოდ ქართული ისტორიული ფილმების მიხედვით იცნობს და არ იცის რომ ტერმინი "საქართველო" სინამდვილეში გვიანდელია და აგერ გუმინინი, სულ რაღაც ათი საუკუნის წინ გაჩნდა. მესმის რომ ძნელი იქნება იმ აუცილებლობის გაცნობიერებაც, რაც განაპირობებს ამ ცვლილებას, მაგრამ თუ ხელისუფლება დაიჯერებს რომ უნდა აღვადგინოთ ისტორიული სამართლიანობა და ამ გადწყვეტილებას მიიღებს, ჩვენი საზოგადოებაც, ადრე თუ გვიან გაიხსენებს რომ ჩვენ იბერიელები ვართ და ამ ნაბიჯსაც გაცილებით სწრაფად და ადვილად მოჰყვება შედეგი, რომელზეც უკვე მერამდენე თაობა ოცნებობს.

P.S. თუ ამ გაზეთს მართლა კითხულობს ხელისუფლების უმრავლესობა და ამ უმრავლესობაში კი არ შედის მიხეილ სააკაშვილი, იქნებ რომელიმე მათგანმა მაინც მიანდინოს ხმა მოქმედ პრეზიდენტს ამ ჩვენი იდეის შესახებ და თუ შეატყობს რომ სააკაშვილს ეს იდეა მოეწონა, მაინც ნუ ეტყვის რომ ეს ჩემი იდეაა, რადგან მთავარი მაინც იბერია და არა ჩვენი სასაცილო ამბიციები.

ცეკვა და მანია

ოქტომბრის მინურუს თბილისში ირლანდიური ცეკვის ანსამბლი ჩამოვა

ი ა ვეკა

რამ შეიძლება გააოცოს ან უბრალოდ დაინტერესოს იმ ქვეყნის მაცხოვრებელი, რომლის ტრადიციული ქორეოგრაფია უკვე აღიარებულია მსოფლიოს მრავალ საოცრებად. ალბათ არაფერმა, თუმცა არის ქვეყნები, რომლებიც ისევე ამაყობენ საკუთარ ფოლკლორით, როგორც ჩვენ, ამიტომ სხვა თუ არაფერი, უბრალოდ ინტერესის დასაკმაყოფილებლად მაინც საჭიროა მათი სიამაყის მიზეზის ნახვა. სწორედ ამის საშუალება მოგვცემს 25 ოქტომბერს, როდესაც განახლებული დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე საქვეყნოდ ცნობილი ირლანდიური ფოლკლორული ხელოვნების ხილვის საშუალება მოგვეცემა.

2010 წელს ნინო რამიშვილის დაბადებიდან 100 წელი სრულდება, ამ თარიღის აღნიშვნისთვის მზადდება კი უკვე დაწყებულია, ზემოთ ხსენებული კონცერტი კი სწორედ საიუბილეო ღონისძიებათა ნუსხის ნაწილია (ამავე ნუსხაში შედის "სუხიშვილების" რამდენიმე კონცერტი, სოლიკო ვირსალაძის შემოქმედების მიძღვნილი ღონისძიებები და სხვა). ირლანდიური დასი თბილისში 24 ოქტომბერს ჩამოვა. დასის მენეჯმენტსა და გასტროლების ორგანიზატორის, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად მათ მხოლოდ ერთი მოთხოვნა აქვთ - დაესწრონ "სუხიშვილების" რეპეტიციას. ეს თხოვნა ბუნებრივია - ჩვენი ანსამბლის ერთი გაელვებაც კი მათთვის მასტერკლასის ტოლფასი იქნება.

როგორც უკვე ვთხარით, ანსამბლი, რომელიც ძირითადად ცნობილი "რივერდანსის" პირველი თაობის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული, ფილარმონიის სცენაზე იცეკვებს, რომელიც ამ კონცერტამდე გაცილებით ადრე, თბილისის ჯაზ ფესტივალში გაიხსენება. სტუმრები თბილისში კონცერტის მეორე დღესაც დარჩება, მათთვის კულტურულ ლო-



ნისძიებათა პროგრამა შედგენილი.

რაც შეეხება სანახაობას, ირლანდიელები შოუ Magic of the dance-ს წარმოადგენენ. შოუ ცხადია მთლიანად ცოცხალი შესრულებით მიმდინარებს (იგულისხმება მომღერლები და აკომპანიმენტი) და ერთიანი სიუჟეტის ირგვლივაა გაერთიანებული. სიუჟეტი კი სასიყვარულოა, რომელიც ირლანდიაში სინამდვილეში მოხდა 1800 წელს. ნახევრად ზღაპრული სცენარი დაახლოებით ასე ვითარდება: მე-19 საუკუნის დასაწყისში შიშოლითა და დემონური ძალებით შეწუხებული ირლანდიელები იძულებული ხდებიან სამშობლო მიატოვონ და საცხოვრებლად ამერიკაში გაემგზავრონ. ისინი კარგავენ არა მხოლოდ სახლებს და ძველ ცხოვრებას, არამედ სამშობლოსაც, თუმცა იტოვებენ მასთან დამაკავშირებელ მნიშვნელოვან ძაფს - ფოლკლორს. შოუს ორი მთავარი გმირი, შეყვარებული ერთმანეთს პორტში შექმნილი არეულობისას კარგავენ, შედეგად კი ამერიკის სხვადასხვა სანაპიროზე ხვდებიან. გადის დრო და მრავალი განსაცდელის დაძლევის შემდეგ შეყვარებულები კვლავ პოულმობენ ერთმანეთს.

დასის ხელმძღვანელი და Magic of the dance-ს მთავარი ქორეოგრაფი ცნობილი მოცეკვავე მაიკლ დონელანია. იგი 5 წლის ასაკიდან ცეკვავს და მო-

გებული აქვს ყველანაირი კონკურსი, რაც კი ირლანდიურ ცეკვებს ეხება: All Ireland, Great Britain, World Ireland Ireland Championships, The British National Championships და სხვა. იგი ასევე ცნობილი ქორეოგრაფის მაიკლ ფლეტლის შოუ Lord of the dance-ს მთავარი პარტის შემსრულებელიც გახლდათ, შემდეგ კი "რივერდანსის" ვარსკვლავი გახდა. ამჟამად დონელანი ირლანდიური ცეკვის ილეთების ყველაზე სწრაფ შემსრულებლად აღიარებული (მას შეუძლია წამში 40 ილეთი შეასრულოს). არა ერთი მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევის შემდეგ მაიკლ დონელანმა საკუთარი შოუს გაკეთება გადაწყვიტა, 1999 წელს კი ეს იდეაც განახორციელა და შედეგად Magic of the dance გაჩნდა.


თავად ირლანდიური ტრადიციული ცეკვა კი ცხადია გაცილებით ადრე დაიბადა. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მოცეკვავე ძირითადად ერთ ადგილზე როკავს, ხელები სხეულზე აქვს მიკრული და მთელ აქცენტს ფეხების მოძრაობაზე აკეთებს (სწორედ ამის გამო ადრევე ირლანდიურ ცეკვებს სტეპსაც), სპეციალური ფეხსაცმელი კი რიტმულ ხმას გამოსცემს. ცეკვის განუყოფელი ნაწილია მუსიკაც, რომელსაც პერიოდულად სიმღერებიც ცვლის. ცეკვისას მოქმედებს მკაცრი წესებიც, რომე-

ლიც განსაზღვრავს, კონკრეტულ მომენტში მოცეკვავეს როგორი მოძრაობის გაკეთების უფლება აქვს. რაც შეეხება ხელების უმოძრაობას, არსებობს ნახევრად ირონიული გადმოცემა, რომ საუკუნეების წინ ხელების ცეკვისას დიდი დატვირთვა ჰქონდა, თუმცა კათოლიკურმა ეკლესიამ ეს მოძრაობები მიუღებლად ჩათვალა, რასაც ხელების პრაქტიკულად შეზღუდვა და ფეხების გააქტიურება მოჰყვა. რაც შეეხება ილეთებს, როგორც წესი, ყველა ქორეოგრაფი საუკუნეების განმავლობაში დადგენილ კანონებს ემორჩილება, თუმცა აქვს საკუთარი ინტერპრეტაციების შეტანის უფლება, რაც ახალ ცეკვებსაც წარმოშობს (როგორც ეს ჩვენს შემთხვევაში ილიკო სუხიშვილმა გააკეთა).

ირლანდიური ცეკვის პირველი ნაბიჯების შესახებ პირველი ცნობები ჯერ კიდევ XI საუკუნეში გვხვდება. სოფლების მაცხოვრებლები საღამოობით ცეცხლის გარშემო იკრიბებოდნენ და დროს სიმღერასა და ცეკვაში ატარებდნენ. ცეკვის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება - გრძელ მწკრივში როკვა სწორედ აქედან იწყება სათავეს. ამ ყველაფრის თანამედროვე და თეატრალიზებული ვერსიის ნახვის საშუალება კი როგორც უკვე ვთხარით, ოქტომბერში დაგეგმილ კონცერტზე შეგვეძლება.

რობინ უილიამსი ბრუნდება

ამერიკელი კინომსახიობის რობინ უილიამსის მდგომარეობა, გულზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ ნელ-ნელა უმჯობესდება. მსახიობის მკურნალი ექიმი იუწყება, რომ მისი გულის ფუნქცია მთლიანად რვა კვირაში აღდგება. ოპერაციის გამო 57 წლის პრემია "ოსკარის" ლაურეატს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილი საგასტროლო გამოსვლების შეწყვეტა მოუწია. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ფლორიდაში გამართული შოუს დროს გამოვლინდა. თავისი გამოსვლის დროს უილიამსმა თავი შეუძლოდ იგრძნო და ჰაერის უკმარისობა დაემართა. გასინჯვის შემდეგ ექიმებმა მსახიობს გულის არითმია და აორტის სარქველთან დაკავშირებული პრობლემები აღმოუჩინეს. პირველ რიგში უილიამსი მაიაიმის უნივერსიტეტთან არსებულ სა-



ავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა მოგვიანებით იგი კლივლენდის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც 13 მარტს მას ოპერაცია ჩაუტარდა. მსახიობის პრესმდივანის ინფორმაციით, ოპერაციის შემდეგ იგი თავს კარ-

გად გრძნობს და ამბობს, რომ რამდენიმე ახალი ხუმრობა მოიფიქრა.

რობინ უილიამსის საგასტროლო ტურნე, სახელწოდებით "თვითგანადგურების იარაღი" გასული წლის სექტემბერში და-

ინყო. ტურნეს ფარგლებში დაგეგმილი იყო 80 კონცერტი და მათზე დასასწრები ბილეთები უკვე დიდი ხანია გაყიდულია. მოსალოდნელია, რომ გასტროლები შემოდგომაზე განახლდებიან. "ეს ძალიან მხიარული გასტროლები იყო და არ შემიძლია გამოჯანმრთელებას დაველოდო. მე დაბრუნება შემიძლია", - აუწყა თავის თაყვანისმცემლებს მსახიობმა.

რობინ უილიამსი მთელი მსოფლიოს მაცხოვრებლებისთვის თავისი როლების წყალობითაა ცნობილი. იგი მონაწილეობდა ფილმებში: "მკვდარი პოეტების საზოგადოება", "მეფე-მეთევზე", "დილა მშვიდობისა ვიეტნამში", "ორსაუკუნოვანი ადამიანი" და ა.შ. "ოსკარის" მფლობელი, იგი ფილმ "ყოჩაღი ულ ჰანტინგში" მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის გახდა.

თეატრის საერთაშორისო დღე თბილისში

პირველი გვერდიდან

"იმდროინდელი რუსთაველის თეატრის მხატვართა ნამუშევრების დათვალიერებას აღფრთოვანებას იწვევს, თუ როგორ ახერხებდნენ ეს უნიჭიერესი ადამიანები ასეთი შედეგების შექმნასა და სცენაზე გადატანას. ჩვენს თვალწინ ცოცხლდებიან უნიკალური წარმოდგენები, დაუფიქრებელი პერსონაჟები. ქართული კულტურისთვის ეს დიდი საგანძურია, ახალგაზრდა თაობისათვის კი წინაპართა მოღვაწეობაზე უაღრესად მრავალმთქმელი. იმედია, დღევანდელი ახალგაზრდა თაობა შეისწავლის ამ ძვირფას დანატოვარს და მიხვდება, როდენ მნიშვნელოვანია თეატრისთვის მხატვრობა, როგორც ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი სპექტაკლის შესაქმნელად", - წერს ალბომში ამ თეატრის მმართველი ზაალ ჩიქობავა.

კატალოგს ახლავს წინასიტყვაობა, რომელიც გასული საუკუნის 20-50 იან წლებში განვითარებულ მხატვრულ პროცესებს მიმოიხილავს, ქართულ ხელოვნებას მსოფლიო კულტურული მიღწევების წრეში განიხილავს და წარმოაჩენს მხატვრებს, რომელთა შემოქმედებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ან გავლენა იქონია ქართული სახვითი ხელოვნების, უფრო კონკრეტულად კი, სცენოგრაფიის განვითარებაზე.

"კოლექციის სიმდიდრე საშუალებას გვაძლევს თვალნათლივ დავინახოთ ის ძირითადი სტილისტური მიმდინარეობები, რომლითაც XX საუკუნის 20-50-იანი წლების ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება ხასიათდება", - ნათქვამია ალბომში. ისტორიული მნიშვნელობის მქონე მასალამ ჩვენამდე, უპირველესად, მუზეუმის თანამშრომელთა ძალისხმევით მოაღწია. ესკიზების აღრიცხვა-პასპორტიზაციის პროცესი რუსთაველის თეატრის მუზეუმის თანამშრომლებს: ბელა ჭუმბურიძისა და მეგი ლევანიძის უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით განხორციელდა.

"ჩვენთან 3 000 -ზე მეტი ესკიზია დაცული. ისინი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მხატვარმა შექმნა. თეატრში პირველი პროფესიონალი მხატვარი რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა მოიწვია - ეს ვალერიან სიდა-მონ-ერისთავი გახლდათ, რომელმაც 1921 წელს, მარჯანიშვილის მიერ დადგმული "ცხვის წყარო" გააფორმა. აქამდე მან სანდრო ახმეტელის "ბერძენი ზმანიაზეც" (1920 წ.) იმუშავა. ამ მხატვრის მიერ შესრულებული ესკიზები ჩვენთან დღემდე ინახება და მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

ასევე, განსაკუთრებულია მხატვარ ირაკლი გამრეკელის შემოქმედებით, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა და დიდი წვლილი შეიტანა რუსთაველის თეატრის წარმატებასა თუ შემოქმედებით წინსვლაში. აქვე მოღვაწეობდნენ ისეთი მხატვრები, როგორებიც არიან: ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე და სხვანი.

მეტად საინტერესოა რამდენიმე მხატვრის მიერ ერთი სპექ-



ს. კობულაძის "ყაჩაღები".



მ.შავიშვილის "ამერიკელი ძიას გასაბჭოება".

ტაკლისთვის შექმნილი ნამუშევრები. მაგალითად, სანდრო ახმეტელის ცნობილი სპექტაკლზე "ანზორი" იაკულოვიც მუშაობდა, ახვლედიანიც და გამრეკელიც... მათ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ესკიზები შექმნეს. თუმცა, საბოლოოდ, გამრეკელის განხორციელება. მუზეუმში განუხორციელებელი სპექტაკლების ესკიზებსაც აღმოაჩინეთ. ასეთია, მაგალითად, "მეფე ლირი", რომელზეც გამრეკელმა იმუშავა... 1926 წელს მარჯანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლის - "ლამარა" სცენოგრაფიაზე, გუდიაშვილთან ერთად, როგორც ჩანს, გოცირიძეც მუშაობდა... ვფიქრობ, გამორჩეულად საინტერესო მხატვარია მიხეილ შავიშვილი, რომლის ტიპაჟებშიც ნათლად იკითხება პერსონაჟთა ხასიათი და ეპოქისადმი გააზრებული დამოკიდებულება.

ეს მასალა კომისიას აღრიცხული და დამუშავებული დახვდა. ესკიზები გატარებულია საინვენტარო ნიგში და თითოეულ მოთგანს საკუთარი

საინვენტარო ნომერი აქვს. ახლა მათი ხელახალი აღრიცხვა მოხდა და სახელმწიფომ უკვე ოფიციალურად იცის თუ რა ქონების პატრონია.

1986 წელს ამ ნამუშევართა უმრავლესობა ექსპონირებული იყო "ცისფერ გალერეაში", სადაც რუსთაველის თეატრის იუბილე აღინიშნა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1987 წელს, სანდრო ახმეტელის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე.

ბოლოს კი, ვიტყვი, რომ გაკეთდა მართლაც მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც, დაახლებით, ხუთი თვე გაგრძელდა და შესასრულებლად იოლი არ გახლდათ. თეატრში დაცული ესკიზების, ფოტოებისა და კოსტუმების საუკეთესო ნიმუშებს საზოგადოება საკუთარი თვლით იხილავს და ვფიქრობ, მათ მნიშვნელობაში კიდევ ერთხელ დარწმუნდება", - გვითხრა ბელა ჭუმბურიძემ (მუზეუმის გამგე).

ხელოვნებათმცოდნე მაია ციციშვილიმაც რუსთაველის თეატრის სამუზეუმო კოლექციაზე მუშაობის დაწყებამდე, კოტე

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ფონდები აღიქვა და ასევე წიგნად გამოსცა. შესაძრებელი ბევრი აქვს, უკვე მეორე ალბომის რედაქტორი აღნიშნავს:

"რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული ესკიზების უმრავლესობა, მართლაც, აღმოჩენა იყო ჩვენთვის. ეს მასალა ასე უხვად პირველად გამოჩნდებოდა, რაც მნიშვნელოვანი და სასიხარულო ფაქტია.

ესკიზების აღრიცხვა-პასპორტიზაცია მარჯანიშვილის მუზეუმში დაცულ ესკიზებზეც განხორციელდა. რაოდენობრივად იქ მეტი მასალაა, ბევრია არაქართული მხატვრის მიერ შესრულებული ნამუშევარი, მაგალითად, მარჯანიშვილის მოსკოვში მოღვაწეობის პერიოდში შექმნილი ესკიზები, რომლებიც რეჟისორმა საქართველოში წამოიღო და ამ თეატრის ფონდში დატოვა. იქ ოცხელის არაერთი ესკიზი ინახება. თუმცა, რუსთაველის თეატრის მუზეუმში ირაკლი გამრეკელის ისეთი ძვირფასი კოლექციაა დაცული, რომ მართლაც ისტორიული მონაპოვარია. ამ კოლექციის მაგალითზე ჩვენ საშუალება გვძლევს მის შემოქმედებას თავიდან ბოლომდე მივადევნოთ თვალი. პირადად ჩემთვის, განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მისი "ციკოს" თემაზე შექმნილი ნამუშევრები, რომელზე სტატიაც დავწერე და საერთაშორისო სიმპოზიუმზე წავიკითხე. ირაკლი გამრეკელი დასაწყისში არის უკიდურესად ავანგარდისტი. აქ ჩანს მისი გაცაცება კუბო-ფუტურიზმით, ფუტურიზმით, კონსტრუქტივიზმით... მოგვიანებით, მისი შემოქმედება, ძალდატანებით, იცვლება. თუმცა, აქაც ცდილობს თავისი ორიგინალური ხელწერა შეინარჩუნოს... ირაკლი გამრეკელის ამ თეატრის მუზეუმში დაცული მემკვიდრეობა განსაკუთრებულია.

უაღრესად საინტერესოა მიხეილ შავიშვილის შემოქმედება, რომელიც ცნობილია, როგორც დიდი არქიტექტორი. მისი ესკიზები ფართო საზოგადოებისთვის უცნობია და შეიძლება ითქვას, რომ პირველად ქვეყნდება. მიმართა, რომ ეს კოლექცია ერთ-ერთი საუკეთესოა. მახვილი თვალის მქონე კარიკატურისტის ინდივიდუალურად განსაკუთრებით მის კოსტუმებში ვლინდება.

ასევე, მნიშვნელოვანია, ვალერიან სიდამონ-ერისთავის სამი ნამუშევარი, ისინი კლასიკური თეატრალური დეკორაციის საწყისად შეიძლება მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, ლადო გუდიაშვილის ესკიზები. ამასთან, შედარებით უცნობი მხატვრების - იაკულოვისა და პილიონკინის ესკიზები.

არ შემიძლია არ ვთქვა, რომ რუსთაველის თეატრის ფონდი მართლაც გამოწვევისა იმ თვალსაზრისით, რომ იქ ყველაფერი მოწესრიგებული, სათანადოდ აღრიცხული და დაცულია, რაც, სამწუხაროდ, სხვაგან არ არის. ვფიქრობ, ეს ალბომი საინტერესო იქნება, როგორც თეატრალისთვის და ხელოვნებათმცოდნეებისთვის, ასევე ნებისმიერი ადამიანისათვის, მათ შორის უცხოელებისთვის".

ფსიქიურად დაავადებულების ცხოვრების ამსახველი ფოტოგამოფენა

დღეს, "არსის" საგამოფენო დარბაზში, ფოტოხელოვან დინა ოგანოვას ნამუშევრები გამოიფინება. ფოტონამუშევრები ერთ-ერთი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაღებული, რომელზეც ავტორმა ფსიქიატრიულ კლინიკაში ორი დღე-ღამის განმავლობაში იმუშავა. როგორც დინა ოგანოვამ განაცხადა, ეს მისი პირველი პერსონალური გამოფენაა. დინა ოგანოვას 40 ნამუშევრის დათვალიერება საზოგადოებას გალერეა "არსში" პირველ აპრილამდე შეეძლება.

როგორც ავტორი ამბობს, ფოტოგამოფენა ეწყობა იმ პროტესტის გრძობის საფუძველზე, რომელიც მასში ფსიქიურად დაავადებულთა მიმართ მომწველი პერსონალის დამოკიდებულებამ გამოიწვია. "ყოველთვის მაინტერესებდა რა მდგომარეობა იყო დაწესებულებებში, სადაც ფსიქიურად დაავადებულები ცხოვრობდნენ. მათთან ერთად 2 დღე-ღამე გავატარე და ვნახე, რომ ეს ადამიანები საშინელ პირობებში ცხოვრობენ. გამიჩნდა პროტესტი ფსიქიურად დაავადებულების მომვლელების მიმართ. ამ ადამიანებს საშინლად ექცევიან. დამოკიდებულება არის ისეთი, რომ დაავადებულ ადამიანებს მხოლოდ გიჟებად მიიჩნევენ, სინამდვილეში ეს ასე არ არის. ესენიც ადამიანები არიან", - ამბობს ფოტოგამოფენის ავტორი.

21 წლის დინა ოგანოვას 10-მდე ფოტოგამოფენაში აქვს მონაწილეობა მიღებული. მათ შორის უცხოეთშიც. ახალგაზრდა ფოტოგრაფი ხვალ პირველ პერსონალურ ფოტოგამოფენას, სიმბოლურად "ფსიქიურად დაავადებულის პერანგით" გახსნის. გამოფენაზე წარმოდგენილი ფონამუშევრები დინა ოგანოვას ფოტოსაიტზე განთავსდება. **მედიანუსი**

ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება

დღეს, 11:00 საათზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია "ფორუმი დიოპტრიკა და კავკასია". კონფერენციის ორგანიზატორები არიან არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის დასაფრანგეთის საელჩო საქართველოში.

კონფერენციის გახსნაზე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართავენ არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ლალი ეზუგბაია, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი იულონ გავროშიძე და საფრანგეთის ელჩი საქართველოში ერიკ ფურნიე. კონფერენციაზე მოხსენებებს წაკითხავენ ბერნარდ უტიე, ალექსანდრე თუმარკინი, ვაჟა შენგელია, რუსუდან ჯანაშია, ცირა ბარამიძე და მერაბ ჩუხუა. **ჯი-ეიჩ-ენი**

"ერბანული კულტურის პოლიტიკა - სათეატრო პოლიტიკა"

დღეს, 26 მარტს თბილისის მერია ნიდერლანდების საერთაშორისო კულტურის ფონდი "კავკასია" და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი უნივერსიტეტის I კორპუსში აწყობს მრგვალ მაგიდას თემაზე: "ერბანული კულტურის პოლიტიკა - სათეატრო პოლიტიკა"

მრგვალ მაგიდაში მონაწილეობას მიიღებენ ბერლინის ხელოვნების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნელე ჰერტლინგი, ფელიქს მერიტის ფონდის დამფუძნებელი, ბერლინის პროცესის თანაორგანიზატორი, გულივერის ევროპის ინტელექტუალთა ქსელის მდივანი სტივ ოსტენი, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ევროპის კულტურის პარლამენტის წევრი ლევან ხეთაგური. **ჯი-ეიჩ-ენი**

"ქარვასლაში" გაიმართება გამოფენა სახელწოდებით - "იტალიური სტილი - სამოსი და ავეჯი"

27 მარტს 18.00 საათზე "ქარვასლაში" საქართველოს ეროვნული მუზეუმის ორგანიზებით გაიმართება გამოფენა "იტალიური სტილი - სამოსი და ავეჯი".

თბილისის ისტორიის მუზეუმში ექსპონირებული იქნება XX საუკუნის 40-იანი წლებიდან დღემდე ცნობილი იტალიელი დიზაინერების შექმნილი საინტერესო ნამუშევრები. კარტული, მირაბილის, ძანოტის ნივთები ამ ინოვაციურ კომპანიებთან ცნობილი არქიტექტორების და ავტორების მოლინოს, ტურანოს, კასტილიონის, ჩეროლის, ონტანის და სხვათა ნაყოფიერი თანამშრომლობის ნათელი მაგალითია. გამოფენის შთაბეჭებით წყაროდ იქცა ხელოვნების სხვადასხვა დარგი (დეკორატიული ხელოვნება, შიდა დიზაინი და მოდა) იტალიელების შემოქმედების, ფანტაზიისა და ინოვაციის თანდაყოლილი უნარი. პროექტის ორგანიზატორები არიან: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, იტალიის საელჩო საქართველოში და სარტირანას ხელოვნების ფონდი. ექსპოზიცია 27 აპრილამდე გაგრძელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

2009 წლის 27 თებერვლის №43 გაზეთში 24

საათი სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის მიერ სპორტსმენთა კვებით მომსახურების შესყიდვაზე გამოქვეყნებულ ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული შპს ბოტეგა და გაფორმდა ხელეკრულება - 4/07 24.03.2009.

პიზველ პრემიერს პოლიციელები აკვირდებიან

პოლიტიკოსებს და საზოგადო მოღვაწეებს შუა საუკუნეებიდან აქტიურად ხატავენ. ხშირად ხატავდნენ ამა თუ იმ ქვეყნის ცნობილსა და რალაციით, თუნდაც ერთი პატარა თავგადასავლით საინტერესო ადამიანების პორტრეტებს. ხშირად თავის დროზე არც თუ ცნობილი ადამიანები, ისტორიული პერსონაჟებიც ხდებოდნენ. ამ მომენტიდან მათ პორტრეტებზე კვლევა და დაკვირვებები იწყებოდა. დღემდე ასეა...



ხდება. ახლაც ამგვარ შემთხვევაზე გვაქვს საუბარი: ირლანდიის ორ ყველაზე დიდი საგამოფენო დარბაზში - სამეფო აკადემიასა და ნაციონალურ გალერეაში უეცრად გარკვეული ნამუშევრები ეუცნაურათ, არ მოეწონათ, ვერ იცვნეს და ალბათ ნარბიცი ანიეს. ამ სურათებზე ირლანდიის პრემიერ მინისტრი - ბრაიენ კოუენი შიშველია დახატული. სწორედ ამის გამო სურათები ჩამოსხნეს და სადღაც გადაამალეს. გალერეების კურატორებმა პოლიციელებთან დასძინეს, რომ ნარმოდგენა არ აქეთ საიდან აღმოჩნდა ეს სურათები ექსპოზიციებში, ვინ შეიტანა ისინი გალერეებში და როდის დაკიდეს.

ერთ სურათში შიშველ კოუენს თეთრი ფერის საცვალი უჭირავს ხელში, მეორე ნამუშევარში კი ეს შიშველი ბატონი მოურიდებლად განისვენებს საპირფარეოში. შიშველ პოლიტიკოსთან დაკავშირებით კიდევ ერთი, სულ ახალი ამბავი უნდა მოვიფიქროთ. მარტის დასაწყისში ლონდონის ერთ-ერთ აუქციონზე 600 ათას დოლარად შეფასდა სურათი, რომელზეც დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ მინისტრის ტონი ბლერის მეუღლე, ჩერი ბლერია ნარმოდგენილი, ეს უკანასკნელიც შიშველი. ტილოს ჰქვია "მოსიარულე შიშველი ქალი", მისი ავტორია საკმაოდ ცნობილი მხატვარი იუენ ეგლოუ.

22 წლის ასაკში ჩერი ბლერს ჩერი ბუთი ერქვა და ის ლონდონის ეკონომიკის სკოლას ამთავრებდა.

სწორედ მაშინ ესტუმრა მხატვარს სახელოსნოში. ამ სურათის არსებობის შესახებ ბრიტანეთში მაშინ შეიტყვეს, როცა ტონი ბლერი პრემიერ მინისტრის პოსტზე გახლდათ, მაგრამ საჯარო განხილვის საგანი ეს ნამუშევარი მაინც არ გამხდარა. მხატვარმა უარი თქვა მათ გამოფენაზე, სანამ ბლერი პრემიერი იქნებოდა. სანამ პოსტიდან ნავიდოდა, მხატვარიც გარდაიცვალა და მისი ქონება გამოფენასაც ექვემდებარება და გაყიდვასაც. როგორ გადაწყდება 22 წლის შიშველი ჩერის ამბავი ვერ უცნობია.

დასასრულს დუბლინს უნდა დავუბრუნდეთ. უცნობი მხატვრის (სავარაუდოდ ავტორი ერთია) ნახატები ამ ეტაპზე გალერეების საცავში დაცული, მათ ამჯერად უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები აკვირდებიან. თუმცა, გახმაურდა რა ეს ამბავი, ამ სურათებს მყიდველები გამოუჩნდნენ. ცნობისთვის, არ არსებობს კანონი, რომელიც მხატვარს აუკრძალავს მისთვის საინტერესო ადამიანის დახატვას, თუნდაც შიშველად, ან საცვლების ამარა.

ელვის კოსტელო აკუსტიკურ ალბომს უშვებს

ბრიტანელმა მომღერალმა და კომპოზიტორმა ელვის კოსტელომ ახალი აკუსტიკური ალბომი ჩანერა. დისკს, რომელსაც Secret, Profane & Sugarcane ეწოდება, ხმისჩამწერი კომპანია Hear Music-ი 2009 წლის 2 იანვარს გამოუშვებს. ჩანანერის პროდიუსერი ტი ბოუნ ბერნეტი იქნება, რომელიც მუსიკოსთან უკვე 20 წელ-

ზე მეტია თანამშრომლობს. ალბომ Secret, Profane & Sugarcane-ზე მუშაობა ნემვილში, სტუდია Sound Emporium Studio-ში მიმდინარეობდა. ალბომში შესული ყველა კომპოზიცია სამი დღის განმავლობაში ჩაინერა. დისკში თავად კოსტელოს მიერ დაწერილი 12 სიმღერაა შესული (მათ შორის ორი კომპოზიცია, რომლებიც

მან ჯონ კემისთვის დაწერა - Hidden Same და Boom Chika Boom), ასევე ორი ტრეკი, რომლის შექმნაზეც მუსიკოსი ბერნეტოსთან ერთად მუშაობდა. გარდა ამისა, დისკ Secret, Profane & Sugarcane-ში შესულია ამერიკელი ქანთრი-მომღერალის მორეტი ლინის ავტორობით, კოსტელოს მიერ დაწერილი სიმღერა და ლუ

რიდის კომპოზიციების Femme Fatale-სა და What Lewis Did Last-ის აკუსტიკური ვერსია, რომლის საფუძველსაც ქანთრის, ბლუგრასის, ფოლკისა და რელიგიური სიმღერების ერთიანობა ნარმოადგენს. კოსტელოსთან ერთად ახალ ალბომზე ბლუგრასისა და ქანთრის მუსიკოსები - ჯერი დუგლასი, სტიუარდ დუნკანი, რომე-

ლიც სიმებიან საკრავზე უკრავდა და მაიკ კომპტონი მუშაობდნენ. ამით გარდა, სტუდიაში მონაწილეები იყვნენ აკორდიონისტი - ჯეფ ტილო და კონტრაბასისტი - დენის კრაუჩი. შეგახსენებთ, რომ ელვის კოსტელოსა და მისი ჯგუფის The Imposters-ის ბოლო ალბომი, სახელწოდებით - Momofuku, 2008 წელს გამოვიდა.

მოწვევა პროფესულ საკონკურსო პაჭრობაზე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
სესხა: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი
კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P41198-NCB-1-26
მცხეთის რაიონში წილკანი-ძაღვისის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი

საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 24 აპრილი

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხა მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლებების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში **მცხეთის რაიონში წილკანი-ძაღვისის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების** განსახორციელებლად ("სამუშაოები").

სამუშაოები მოიცავს:

- არსებულ საფეხქველზე შემოსწორებელი ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი - 604მ²;
- საფეხქველის ზედა ფენის მოწყობა h=150მმ ღორღოვანი მასალით ფრაქციით 0-40 მმ 2139 მ²;
- საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი, ფორფანი, ღორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევი, მარკა II, h=60 მმ - 14305 მ²;
- ხედა ფენის მოწყობა წყრიდმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ა/ბ ცხელი ნარევი, ტიპი "B", მარკა II, h=40 მმ - 14100 მ².

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს 3 თვეს.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ 0.9 მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სიროტულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 6.5 მილიონი ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს 1,1 მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგარადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;

➢ კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი საშუაო გამოცდილება;

➢ კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შექმნას აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთგვარადასაპროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ის აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. №150, ობილი 0112, საქართველო
IV სართული, ოთახი 405
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15
ფაქსი: (+995-32) 48-45-55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შექმნა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებაზე 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. №2, ობილი, საქართველო

უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)
ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)
SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY
SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია 22,000 ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის 24 აპრილის 15:00 საათისა.

საკონკურსო წინადადებების განხილვა მოხდება 2009 წლის 24 აპრილს 15:00 საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოსურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

სპორტი

კვიპროსი - საბინაო დავალებით

კუპერი პირველ გამარჯვებას გეგმავს

მიხეილ აბაიშვილი

დღეს საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები თბილისის აეროპორტიდან ლიმასოლის მიმართულებით ჩარტერული რეისით გაემგზავრებიან. ექტორ რაულ კუპერის და კახა ცხადაძის შეგირდებს სხვადასხვა მისია აქვთ. საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარე საკვალიფიკაციო ტურნირში პირველი გამარჯვების მოპოვებას შეეცდება. კახა ცხადაძის ახალგაზრდა "ხუთჯვაროსნებს" კი კვიპროსელებთან ამხანაგური მატჩი ელით. ცხადაძის გუნდი ევროპის 21 წლამდელთა მოახლოებული ჩემპიონატისა და ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის ემზადება.

კვიპროსში გამგზავრების წინ ექტორ რაულ კუპერმა გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც მომავალ მატჩსა და მიმდინარე შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების გეგმებზე ისაუბრა.

მწვრთნელმა თქვა, რომ აქლია რამდენიმე ნამყვანი ფეხბურთელი, მათ შორის, გუნდის კაპიტანი კახა კალაძე და საყრდენი ნახევარმცველი ჯაბა კანკავა - ტრავმების გამო ისინი მოახლოებულ ორ საკვალიფიკაციო მატჩს გამოტოვებენ. შეიძლება ითქვას, რომ კუპერმა ამჯერად საკუთარი სურვილით უარი თქვა ისეთი ფეხბურთელების სამსახურზე, როგორებიც არიან მუჯირი და გოგუა.

"გუნდში შესაშური სამუშაო განწყობაა. ყველა ფეხბურთელი მაქსიმალური ენთუზიაზმით ემზადება მოახლოებული თამაშებისთვის, რაც ძალიან სასიამოვნოა. ნაკრების სპეციფიკიდან გამომდინარე, ფეხბურთელებთან ცოტა ხნით მიწვევს მუშაობა და ის, რომ ყველა ფეხბურთელი უაღრესად



სად მობილიზებული და მონდომებულია, ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა. მიკროტრავმები აქვთ შაშიაშვილს, მენტეშაშვილს და ლობჯანიძეს, თუმცა, გუნდის ექიმების დიაგნოზით, სერიოზული არაფერია და ისინი თამაშის დღეს მწყობრში იქნებიან. რაც შეეხება მუჯირს და გოგუას, ამჯერად მათ სხვები ვამჯობინებ, რაც, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მათთვის ნაკრების კარი დახურულია. არა მხოლოდ ესენი, სხვა ქართველი ფეხბურთელებიც, რომლებიც ამჯერად ვერ მოხვდნენ გამოძახებულთა შორის, ეროვნული ნაკრების მწვრთნელების თვალთხედვის არეში არიან და თუ თავს გამოიჩენენ, აუცილებლად მივცემთ შანსს", - თქვა კუპერმა.

საქართველოს ნაკრებმა მიმდინარე კვალიფიკაციაში ხუთი

მატჩი ჩაატარა. აქედან ორი ფრედ დაასრულა და სამი წააგო, რის გამოც 2 ქულით ჯგუფში ბოლოსწინა ადგილზეა. ამის მიუხედავად, კუპერი არ ფიქრობს, რომ ტურნირის დარჩენილ მატჩებში უშანსოდ ვართ და მხოლოდ სტატისტიკის როლში ვიქნებით.

"სატურნირო მდგომარეობა მიინცდამინც ოპტიმისტურად ვერ განგვაწყობს. თუმცა, მიმართა, რომ საქართველოს ნაკრები მისულია იმ კონდიციაში, როცა ნებისმიერ მეტოქესთან, შინ თუ გარეთ, რეალურად შეიძლება გვექონდეს გამარჯვების პრეტენზია. კვიპროსზეც მხოლოდ გამარჯვებისთვის მივმგზავრებით. ასე იქნება იტალიასთან მატჩიც, რომელიც შემოდგომაზე თბილისში გაიმართება. მაგრამ ერთია საფუძველი და მეორე - რეალობა. ჩვენ ყველა თამაშზე

მოსაგებად გამოვალთ და როგორ დასრულდება ეს შეხვედრები, ერთად ვნახავთ. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ტურნირის ბოლოს მესამე, მეოთხე, ან სულაც ბოლო ადგილზე აღმოვჩნდეთ. ტურნირის შემდეგ ერთად დავითვალთ ქულები და ადგილები", - აღნიშნა ნაკრების არგენტინელმა თავაჯცმა.

კვიპროსთან პირველი მატჩი, რომელიც 2008 წლის ოქტომბერში თბილისში გაიმართა, ფრედ 1:1 დამთავრდა. ამ შეხვედრაში საქართველოს ნაკრების შუა და უკანა ხაზები სუსტად გამოიყურებოდნენ, რაც არც თავად კუპერმა უარყო.

"თბილისში კვიპროსთან სუსტად ვითამაშეთ. განსაკუთრებული საყვედური ეკუთვნის დაცვას, რომელიც ბევრ შეცდომას უშვებდა. თავის დროზე ეს მატჩი გავაანალიზეთ და სათანადო დასკვნებიც გამოვიტანეთ. რაც შეეხება კვიპროსს, ის საკუთარ მოედანზე აქტიურ და აგრესიულ ფეხბურთს თამაშობს. იტალიის ნაკრები ლიმასოლში ბოლო ნუთებზე გადაურჩა ქულების დაკარგვას. ვფიქრობ, ჩვენს წინააღმდეგაც იგივე ტაქტიკურ სტილსა და თამაშის მანერას გამოიყენებენ. ჩვენ ამისთვის მზად ვართ და გარკვეული საშინაო დავალებებიც გვაქვს მომზადებული. კონკრეტულად რა სტრატეგიას ავირჩევთ, გასაგები მიზეზების გამო ამაზე არ ვისაუბრებ. ვეცდებით, ჩვენს ხელთ არსებული კოზირები მაქსიმალურად გამოვიყენოთ და კვიპროსთან პირველი სამი ქულა მოვიპოვოთ", - იმედიანდა კუპერი.

გუმინ საქართველოს ნაკრებმა საგურამოს ტექნიკურ ცენტრში ბოლო ვარჯიში გამართა.

შეგახსენებთ: მატჩი ლიმასოლში თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება. მის პირდაპირ ტრანსლირებას პირველი არხი გეგმავს.

სასარგებლო მარცხი

რუსეთის მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი ნერუში, რომლის გუნდსაც ევროპის "ერთა თასის" გათამაშებაზე ერთადერთი მატჩი დარჩა ჩასატარებელი გერმანიის ნაკრებთან, აცხადებს: "2 მაისს აუცილებლად გვჭირდება გერმანიის ნაკრების დამარცხება. ამის შემდეგ პირველი ეტაპის შედეგები, როცა მატჩების უმეტესობა სტუმრად ვითამაშეთ, დადებითად შეიძლება შევაფასოთ. ვფიქრობ, საქართველოსთან მარცხი გარკვეული თვალსაზრისით სასარგებლოც კი იქნება. ბიჭებმა დროულად ნაიმტვირის ცხვირი და, ვფიქრობ, აქედან სათანადო დასკვნებს გამოიტანენ. თითქმის მთელი აპრილის განმავლობაში მოთამაშებები მოემზადებიან თავიანთ კლუბებში - ტესტები ექნებათ ძლიერ მოწინააღმდეგეებთან. როგორც ვიცი, "კრასნი იარი" საფრანგეთში მიდის, "ვვა" - ინგლისში, "ენისეი" კი - რუმინეთსა და ირლანდიაში. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ ჩვენი ნაკრების მოთამაშეები გერმანიასთან მატჩს კარგ ფორმაში შეხვდნენ," - აცხადებს ნერუში.

უეფას სურს, გუნდში 25 ფეხბურთელზე მეტი არ ირიცხებოდეს

უეფას წარმომადგენელი უილიამ გალიარდი აცხადებს, რომ უეფას ხელმძღვანელობა გეგმავს კლუბებთან ერთად განიხილოს პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ერთ კლუბში არა უმეტეს 25 ფეხბურთელის ყოფნას. "რა თქმა უნდა, არ არსებობს მზამზარეული რეცეპტი, რომელიც კლუბებს დიციავდა არსებული ფინანსური კრიზისისგან, თუმცა არსებობს პროექტი, რომლის განხილვა და მიღება, ვფიქრობ, ამ მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ჩემი აზრით, კარგ შედეგს მოიტანს კლუბში ფეხბურთელთა რაოდენობის შემცირება. მაგალითად, ჩემპიონთა ლიგაში კლუბს არ შეუძლია წარადგინოს 25 ფეხბურთელზე მეტი. ვთვლი, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა. თუმცა თავდაპირველად საჭიროა ამ იდეის განხილვა კლუბებთან და ეროვნულ ფედერაციებთან ერთად", - აცხადებს უეფას წარმომადგენელი.

ჰუნტელარის მასწავლებელი

"რეალის" თავდამსხმელი კლას იან ჰუნტელარი ამბობს, რომ დიდ მხარდაჭერას გრძობს თანაგუნდელის რუუდ ვან ნისტელროისგან. "მინდა გუნდს დავეხმარო და ბურთები გავიტანო. ეს არის მთელი ჩემი სურვილი, - ამბობს ჰუნტელარი, - "რეალში" ბევრი მოთამაშეა, რომელთაც რეგულარულად შეუძლიათ მეტოქის კარის აღება: რაული, რობენი, სნაიდერი, იგუანი... ნისტელროი შესანიშნავი თავდამსხმელია, რომლისგანაც ბევრი რამის სწავლა შემიძლია. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ და ვაღიარებ, რომ ეს საუბრები ძალიან მეხმარება. პირველი თამაშების შემდეგ, როცა ვერ შეეძლო თავის გამოჩენა და გოლის გატანა, მან მიჩნია, რომ უფრო მშვიდად და კონცენტრირებულად ვითამაშო. მისმა რჩევამ გაამართლა. ის დღე, როცა "სამეფო კლუბთან" მოვანერე კონტრაქტს ხელი, ერთ-ერთი გამორჩეულია ჩემი ცხოვრებაში. ვთამაშობ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში და გამოვდივარ ერთ-ერთ საუკეთესო არენაზე - "სანტიაგო ბერნაბეუზე". ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ დარჩენილი თამაშები მოვიგოთ, მათ შორის, მოვუგოთ ჩვენს უშუალო კონკურენტს "ბარსელონას", - ამბობს ჰუნტელარი.

საფეხბურთო გრანდები - ამერიკაში

იტალიური "მილანი" და "ინტერი", აგრეთვე, ინგლისური "ჩელსი" მონაწილეობას მიიღებენ ყოველწლიურ კომერციულ საფეხბურთო ტურნირში, რომელიც აშშ-ში გაიმართება და World Football Challenge-ის სახელითაა ცნობილი.

ევროპული ფეხბურთის გრანდების გარდა, ამ შეჯიბრებაში ადგილობრივი "ქლაბ ამერიკაც" იასპარეზებს.

ტურნირის შეხვედრების გარდა, "ჩელსი" MLS-ის ახალბედა "სიეტლთან" ამხანაგური მატჩის გამართვასაც გეგმავს, ხოლო "მილანი", ინგლისის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ დევიდ ბექჰემის საიჯარო შეთანხმების პირობების თანახმად, "ლოს ანჯელეს გელექსის" გაეჯიბრება.

ბეჰა და ელენა

ბიბა ბარასაშვილი

კალიფორნიელის სანახაობით გაკვირვება უფრო სანახაობა იქნება, ვიდრე ის, თუ რას მასპინძლობენ და რითი ერთობიან. მასპინძლობით კი ფიგურულ სრიალში მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობენ. მასში ქართველი მოციგურავეებიც ასპარეზობენ - ბეჰა შანყულაშვილი და ელენე გედევანიშვილი.

"სტეპლს სენტერში" ფიგურულ სრიალში მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. პლანეტის 52 ქვეყნის 216 მოციგურავეს სურს საკუთარი ქვეყანა ასახელოს. მონტენეგროს, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას, დებოუტი აქვს მსოფლიო ჩემპიონატზე. ამ ტურნირზე პირველად მოსინჯავენ საკუთარ ძალებს ბრაზილიელები და ირლანდიელები.

25 მარტს ტურნირი ჩაებმება ბეჰა შანყულაშვილი, რომელსაც 30 მარტს 19 წელი შეუსრულდება. მოკლე პროგრამაში 50 მონაწილე გამოვა. ბეჰას კი ყინულზე მე-



ნომრად ვიხილავთ.

შანყულაშვილის საუკეთესო შედეგი მოკლე პროგრამაში 45.23 ქულაა, თავისუფალში - 82.67, ხოლო ჯამური რეკორდი - 127.16 ქულა.

მსოფლიო ჩემპიონატის ფაგორიტები არიან ფრანგი ბრაიან ჟუბერი, ჩეხი ტომას ვერნერი, იაპონელი ტაკაჰიკო კოზუკა და ამერიკელები ევან ლისაჩეკი, ბრენდო მროზი და ჯერემი აბოტი.

27 მარტს გამოვა 19 წლის ელენე გედევანიშვილი, რომელმაც მიმდინარე სეზონი წარუმატებლად დაიწყო. ევროპის პირველობაზე ის ფინალს მიღმა დარჩა და რეაბილიტაციას ლოს ანჯელესში ეცდება.

გედევანიშვილის საუკეთესო მაჩვენებლები მოკლე პროგრამაში, იგივე სავალდებულო პროგრამაში 61.32 ქულაა, თავისუფალში - 93.66, ჯამურში კი - 153.27.

ქალთა ტურნირს 54 მონაწილე ჰყავს. საპრიზო სამეულში მოხვედრისთვის, სავარაუდოდ, იტალიელი კაროლინ კოსტინერი, კანადელი ჟოან როშე და იაპონელები მიკი ადო, მაო ასადა და ფუმი ფუგური იბრძობენ.

ნოველინოს ნაცვლად - კამოლეზე

იტალიური "ტორინოს" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენეს ვალტერ ნოველინო. ნოველინომ გასულ კვირას, "სამპდორიასთან" მარცხის შემდეგ დატოვა "ტორინოს" თავკაცის თანამდებობა. "ტორინოს" მთავარი მწვრთნელის პოსტი ჯან-კარლო კამოლეზე დაიკავა. ახალ მწვრთნელს უკვე მთავარი მიზანიც დაუსახეს. კამოლეზემ გუნდი სერია A-დან გადარდნისგან უნდა იხსნას. ტურინული კლუბის სამწვრთნელო შტაბში ცვლილებების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია მოგვიანებით გავრცელდება. ნოველინო "ტორინოს" 2007 წლიდან წვრთნიდა.

ჰეიტინგას გარეშე

მადრიდის "ატლეტიკოსა" და ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების მცველი ჯონ ჰეიტინგა 28 მარტს, ამსტერდამში, შოტლანდიასთან გასამართი შესარჩევი ტურნირის მატჩს დააკლდება. ფეხბურთელის არყოფნის მიზეზი თავის ტრავმაა. ამის გარდა, შესაძლოა, ჰეიტინგამ ვერც პირველ აპრილს მაკედონიის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშოს. ჰოლანდიელმა მცველმა კვირას, "მალორკასთან" დაპირისპირებისას, მეტოქის ფეხბურთელთან შეჯახების დროს მიიღო ტრავმა. ის სასწრაფოდ გადაიყვანეს ჰოსპიტალში. "ნარინჯისფერთა" თავკაცის ბარტ ვან მარვიკის თქმით, მართალია, ფეხბურთელი უკვე გამოწერეს საავადმყოფოდან, მაგრამ მას კვლავ აწუხებს ტკივილი თავის არეში. ამის მიუხედავად, ჰოლანდიელთა დამრიგებელმა ჰეიტინგას შემცვლელად ნაკრებში არავინ გამოიძახა.

ლიპი ახსნა-განმარტებებს არ იძლევა

მარჩელო ლიპი იმ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა, რომლებიც იტალიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩებში, ჩერნოგორიისა და ირლანდიის ნაკრებთა წინააღმდეგ ითამაშებენ.

შემადგენლობაში ვერ მოხვდა "სამპდორიას" თავდამსხმელი ანტონიო კასანო, რომელზეც "სკუადრა აძურას" თავკაცმა საკუთარი მოსაზრება გამოთქვა.

"რატომ არ გამოვიძახე კასანო? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას არ ვაპირებ. თქვენ იცით, რომ მხოლოდ იმ ფეხბურთელებზე ვსაუბრობ, რომლებიც ნაკრების ბანაკში იმყოფებიან. ჩემი გადაწყვეტილების მიზეზებზე საუბარი არ მსურს. საკუთარი შეხედულებები მაქვს და არავისთვის არაფრის დამტკიცება არაა საჭირო. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა მაქვს", - განაცხადა ლიპიმ.

რობინიო პელეს წინააღმდეგ

ინგლისის "მანჩესტერ სიტის" ბრაზილიელი თავდამსხმელი რობინიო აპირებს, "ფეხბურთის მეფეს", მისივე თანამემამულე პელეს სასამართლოში უჩივლოს. ამის მიზეზია ლეგენდარული სამხრეთამერიკელის ამასწინანდელი ინტერვიუ, რომელშიც პელემ რობინიო და რონალდო ნარკოტიკების მოხმარებაში დაადანაშაულა.

"სიტის" 25 წლის ფეხბურთელის წარმომადგენლები ცდილობენ, კარგად გამოიკვლიონ - მართლაც თქვა პელემ ასეთი რამ თუ ჟურნალისტებმა მოახდინეს მისი სიტყვების არასწორი ინტერპრეტაცია. თუ "ფეხბურთის მეფის" "დანაშაული" დადასტურდა, რობინიო და მისი დამქაშები სამგზის მსოფლიო ჩემპიონისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვენ. თუმცა, შესაძლოა, ესეც არ აკმარონ.

"პელესგან საპასუხო რეაქციას ველით - თუ მსგავსი რამ არ უთქვამს, გააპროტესტოს გაზეთში დაბეჭდილი მასალა. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოში მოუწევს ახსნა-განმარტების მიცემა. როგორც ჩანს, პელეს დაავიწყდა, რომ მთელი ბრაზილიური ახალგაზრდობისთვის სამაგალითო უნდა იყოს. ამ დროს ის ხალხში რაღაც ქორებს ავრცელებს, რომელიც, ალბათ, ბულგარულ პრესაში ამოკითხა", - რობინიოს წარმომადგენლებმა ეს კომენტარი ფეხბურთელის ოფიციალურ ვებგვერდზე გააკეთეს.

პელემ დაახლოებით ორი თვის წინაც გააკრიტიკა რობინიო, როცა მან "სიტი" მიატოვა და დროებით სამშობლოში დაბრუნდა. მაშინ "ფეხბურთის მეფემ" ახალგაზრდა ფეხბურთელს "უღირსი" უწოდა, თან ისიც დაამატა, მრცხვენია, რომ ის ჩემი თანამემამულეა. როგორც ჩანს, მანჩესტერელთა ფორვარდს პელეს გამოხდომები ყელში ამოუვიდა... არადა, იყო დრო, როცა ლეგენდარული ათიანი რობინიოს აღმერთებდა და მას თავის მემკვიდრეს უწოდებდა. მათი ძველი ურთიერთობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას ეს ფოტოც შეეძენით.

ცხადადის ახალგაზრდული სტარტი

21 წლამდელები მზადებას იწყებენ

მინილ აბიჯილი

27 მარტს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თავის პირველ შეხვედრას ჩაატარებს ახალი მთავარი მწვრთნელის კახა ცხადადის ხელმძღვანელობით. ეს მატჩი კვიპროსში, ამ ქვეყნის 21 წლამდელებს ნაკრებთან გაიმართება და ამხანაგური ხასიათი ექნება. კვიპროსთან დაპირისპირებით ჩვენი გუნდი იწყებს მზადებას ევროპის 21 წლამდელთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის, რომელიც შემოდგომაზე აიღებს სტარტს. მასში ჩვენს ნაკრებს ფინალური ეტაპის ორი საგზურისთვის მეტოქეობას გაუწევენ ირლანდიის, შოტლანდიის, თურქეთისა და სომხეთის ნაკრები გუნდები. ევროპის საკვალიფიკაციოს პარალელურად, იგივე ტურნირი ლონდონის ოლიმპიური თამაშების შესარჩევადაც ითვლება, იმ განსხვავებით, რომ ოლიმპიადის საგზურის მხოლოდ პირველ ადგილზე გასული გუნდი მიიღებს. ეროვნული ნაკრების მსგავსად, ახალგაზრდულსაც ოთხდღიან შუალედში კიდევ ერთი თამაშის ჩატარება მოუწევს. 1 აპრილს ქართველი ფეხბურთელები

თბილისში, სპარინგმატჩში, ბელორუს თანატოლებს დაუხვდებიან.

ამ მატჩებთან დაკავშირებით გუნდის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში პრესკონფერენცია გამართა ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადადიმ.

მიუხედავად იმისა, რომ თვეზე მეტია, რაც ცხადადი ამ პოსტზე დაინიშნა და ყოველ ტურში თითქმის არც ერთ თამაშს არ აცდენს, ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებთან მისი ნამდვილი ნაცნობობა ამ ორიოდე დღის წინ, სანერთვის შეკრების დანახვისას დაინიშნა.

"პირველი ვარჯიში ორი დღის წინ ჩავატარე. ასე რომ, ჩემი ფეხბურთელების გაცნობას ახლა ვიწყებ. გულშემატკივრებმა უკვე იციან, რომელი მოთამაშეები მყავს გამოძახებული, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ დღეს მონვეულებზე გაკეთდება აქცენტი. მე ყველა კანდიდატურას ვაკვირდები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. შემიძლია ვთქვა, რომ ნაკრების კარი ყველა ფეხბურთელისთვის ღიაა. ეს ორმატჩიანი ამხანაგური ციკლიც იმისთვის

მჭირდება, რომ რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი გამოვცადო საქმეში. დაგეგმილიც მაქვს, რომ კვიპროსიდან დაბრუნებისთანავე რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ვიხმო, რომლებსაც უკვე ბელორუსთან ვნახავ", - აღნიშნა ცხადადიმ.

კვიპროსის ახალგაზრდულ ნაკრებთან დაკავშირებით ცხადადის შტაბს მწირი ინფორმაცია აქვს, თუმცა, ამ ხარვეზის გამოსწორებას ადგილზე ჩასვლისას, თემურ ქეცბაიას დახმარებით გეგმავს.

"კვიპროსის ახალგაზრდული ნაკრების თაობაზე არავითარი ინფორმაცია არ მაქვს. ლიმასოლში თემურ ქეცბაიას ვნახავ. იმედი მაქვს, ის კვიპროსის 21 წლამდელთა რომელიმე ბოლო მატჩის ვიდეოჩანანერს დაგვახვედრებს. ამ მატჩს სპარინგის ხასიათი აქვს და სათამაშო სიტუაციების დახვეწაზე, რგოლების შეთამაშებაზე, ტაქტიკური მონახულების შემოწმებასა და რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელის გამოცდაზე გავაკეთებთ აქცენტს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მატჩის შედეგი მეორეხარისხოვანია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამხანაგური თამაშები დადებითი შედეგებით დავასრუ-

ლოთ და შესარჩევ ტურნირს გამარჯვებულის ფსიქოლოგიით შევხედეთ", - მიაჩნია ახალგაზრდული გუნდის მთავარ მწვრთნელს.

წილისყრის შედეგად შესარჩევ ჯგუფში მოხვედრილ მეტოქეებზე ცხადადი მაღალი აზრისაა.

"ვერავის ფავორიტად ვერ მივიჩნევ. ვფიქრობ, კარგად დაბალანსებული ჯგუფია და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ყველას თანაბრად გვაქვს. ამ ცოტა ხნის წინ ირლანდიის ნაკრებმა გერმანიასთან ფრედ - 1:1 ითამაშა. არც სხვა მეტოქეები არიან ხელნამოსაკრავი. ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლაა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. რაც შეიძლება, კარგად უნდა მოვემზადოთ, რამაც ეს მატჩიც დაგვეხმარება. ჩვენ მხოლოდ ამ ორი თამაშით არ შემოვიფარგლებით და ფიფას მიერ ამხანაგური თამაშებისთვის დადგენილ ყველა თარიღს გამოვიყენებთ. ასე რომ, შესარჩევი ტურნირის სტარტამდე ხუთი მატჩის ჩატარებას მოვასწრებთ, რაც, ვფიქრობ, საკმარისი იქნება გუნდის შესათამაშებლად და კარგად მოსამზადებლად", - ოპტიმისტურად არის განწყობილი კახა ცხადადი.

თანაბარი შანსები



კვიპროსის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის ანგელოს ანასტასიადის განცხადებით, საქართველოს ნაკრები კარგი გუნდია და მომავალ მატჩში შანსები თანაბარია.

ამის შესახებ კვიპროსელთა ბერძენმა დამრიგებელმა საქართველოსთან დაპირისპირების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

"საქართველო ძალიან კარგი გუნდია და შანსები 50/50-ზეა. ჩვენს ჯგუფში, იტალიის გარდა, ყველა გუნდი ერთი დონისაა და თითოეული მატჩის ბედი იმაზეა დამოკიდებული, კონკრეტულად როგორ მზადყოფნაში შევვდება ესა თუ ის ნაკრები თამაშს. შემადგენლობაში პრობლემები გვაქვს: ანდრეას კონსტანტინუ ყვითელი ბარათის გამო გამოტოვებს მატჩს. დაშავებული არიან მარაგოსი, ნიკოლაო, მაკრიდისი და ილია. არ გვეყოლება დიმიტრიუ და ოკასი. თუმცა, ამ პრობლემებს უნდა გავუმკლავდეთ. გუნდში გვყავს ფეხბურთელები, რომელთაც თებერვლის შემდეგ არ უთამაშიათ. თუმცა, ბოლომდე ვიბრძოლებთ. ღვთისმშობლის მაძლით, ყველაფერი კარგად იქნება. კვიპროსის ნაკრები ყველა გულშემატკივარს უყვარს. ამიტომ პრობლემების გადალახვა შესაძლებელია", - აღნიშნა ანასტასიადისმა.

კვიპროსის ნაკრების მენეჯერმა ჰარის ლიზიდისმა საქართველოსთან მატჩში ადგილობრივი გულშემატკივრებისგან მხარდაჭერა ითხოვა:

"ყველამ უნდა ვიზრუნოთ, რომ სტადიონი გაივსოს. ნაკრები ყველა ჩვენგანისაა და სტადიონის მისი გულია. როდესაც უცხოეთში სტადიონები ივსება, ფეხბურთელებს სურთ, რომ ხალხი მათ გვერდით იყოს. ვიცით, რომ "ანტონის პაპადოპუ-

ლოსზე" ქართველები იქნებიან, მაგრამ, ეგლა გვაკლია, კვიპროსელებზე მეტნი იყვენენ".

კუნძულელთა ნაკრების კაპიტანს იოანის ოკასს იმედი აქვს, რომ ქართველებთან მატჩში გუნდს ისეთივე მხარდაჭერა ექნება, როგორც იტალიელებთან შეხვედრისას ჰქონდა:

"იტალიასთან ჩატარებულ პირველ მატჩში მაყურებლისგან დიდი მხარდაჭერა გვქონდა. იმედი გვაქვს, მომავალ შაბათს საქართველოსთან იგივე გამეორდება. გვეჯერა, რომ ბულგარეთში გამარჯვებულნი გავმგზავრებით. გვინდა, მომავალ ორ

მატჩში ქულათა მაქსიმუმი ავილოთ. ტრავმა თამაშის საშუალებას არ მძღვეს. გუნდთან ერთად მოედანზე არ ვიქნები, თორემ სულით და გულით თანაგუნდელების გვერდით ვარ. ჩვენ შეკრული გუნდი გვყავს და ცალკეულ ფეხბურთელებს არ ვეყრდნობთ. ამიტომ ჩემი არყოფნა ნაკრებს ხელს არ შეუშლის, რომ კარგი შედეგი აჩვენოს".

პრესკონფერენციაზე ანასტასიადისი კვიპროსელი ფეხბურთელების მსაჯებთან ურთიერთობასაც შეეხო:

"ნაკრების ფეხბურთელები, რომლებიც მსაჯებს ხშირად

ეკამათებიან, არბიტრების მიმართ ფრთხილად უნდა იყვნენ. ამ თემაზე შარშან, ნოემბერშიც გამოვეთქვი აზრი. ველოდი, რომ ეს პროცესი შეჩერდებოდა, მაგრამ... სულ ვურჩევ ჩემს ფეხბურთელებს არბიტრებს დაეხმარონ და მოწინააღმდეგეები დააფასონ. ამ თემას გასახდელში დიდ დროს ვუთმობთ. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი ფეხბურთელები და ნაკრები წევრები მსაჯებისგან დაცული არიან, ისინი კი, თავის მხრივ, იცავენ არბიტრებს. მაგრამ ეს კანონი კვიპროსზე არ ვრცელდება".

ქართული აეროსტატული რეკორდი

ბიზა ბარასაშვილი

ბევრი იფრინეს თუ ცოტა, საქართველოს რეკორდი დაამყარეს. რეკორდულმა ფრენამ მთიანი ადგილისა და ჰაერის ცვალებად დინებათა რთულ პირობებში ჩაიარა. ამასთან ამგვარი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაართულა საომარმა ვითარებამ, ვინაიდან ფრენამ ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ნაწილის თავზე და მის სიახლოვეს ჩაიარა. მიუხედავად ამისა, ჰაერნაოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ შეძლო საქმის ბოლომდე მიყვანა.



"გაბთის" სითბური აეროსტატის მეშვეობით შორს ფრენასა და ჰაერში ყოფნის ხანგრძლივობის ეროვნული რეკორდი დამყარდა

ლოს თავზე სრულმასშტაბიანი გაფრენა შეუძლებელი იყო, რამდენადაც სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენები ბევრ რამეში გვარკვევდა. ვითარებაში გვარკვევდა საქართველოს ჰაერნაოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი რევაზ უთურგაური. წლებულს 2 მარტს საქართველოში ჰაერნაოსნობის სფეროში ორი ეროვნული რეკორდი დამყარ-

და - შორს ფრენა და ჰაერში ყოფნის ხანგრძლივობა. უფრო სწორად, იმ ხანად სითბური აეროსტატის პილოტის ამოცანას წარმოადგენდა მაქსიმალურად შორს მანძილზე დაუჯდომლად გადაფრენა. რეკორდულმა ფრენამ მთიანი ადგილისა და ჰაერის ცვალებად დინებათა რთულ პირობებში ჩაიარა. მდგომარეობას მნიშვნელოვნად ართულებდა ისიც, რომ ფრენ-

ნამ ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიის თავზე მიმდინარეობდა.

ფედერაციასთან ერთად სარეკორდო ფრენის ჩატარებაში მონაწილეობდნენ სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის ინსპექტორი მეთვალყურე, ლიტვისა და რუსეთის ჰაერნაოსნობის ფედერაციის სპორტული კომისრები.

ფრენა შედგა საქართველოს აერონავიგაციისა და ავიამეტეოროლოგიის, თბილისის საავიაციო უნივერსიტეტის და ჩვენი ტრადიციული პარტნიორის კომპანია "მაგთიკომი"-ს მხარდაჭერით.

სარეკორდო ცდის შედეგები სპორტის დეპარტამენტის მიერ დაფიქსირებული და დამტკიცებულია როგორც ეროვნული რეკორდი.

შედეგები:
პილოტი: რევაზ უთურგაური
კეიპაფი: ლევან ადამია, ტელეოპერატორი
სტარტის დრო: 09.47.02.03.09
სტარტის ადგილი: ხევსურსოფელი, N 42°00'27,0", E 044°56'51,2"
დაჯდომის დრო: 14.04.02.03.09.
დაჯდომის ადგილი: სიმინდის ყანა, N 41°47'59,8", E 046°04'52,0".
ფრენის სიშორე: 98,9 კმ
ფრენის ხანგრძლივობა: 4 საათი 17 წუთი

სანიკიძე და სინცაძე "როკს" მოაბეზინეს

ვიქტორ სანიკიძე და გიორგი ცინცაძე განაგრძობენ ესტონური "როკისთვის" წარმატებების მოტანას. ამჯერად მათი სანაქებო თამაშის წყალობით "ტარტუ როკმა" ბალტიის ლიგის მეოთხედფინალური სერიის პირველ მატჩში სტუმრად მოსისხლე ტალინის "კალევი" დაამარცხა - 76:70



უკვეს სანიკიძე

ორივე ქართველმა "როკის" სასტარტო ხუთეულში ითამაშა და საუკეთესოებიც იყვნენ. სანიკიძემ მოუდგანა 27 წუთი დაჰყო და სტუმრებს 19 ქულა, 8 მოხსნა და 2 ჩაჭრა მოუტანა, რითაც ორივე გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა. ვიქტორმა 7-დან 6 ორქულიანი და 10-დან 7 საჯარიმო ჩააგდო, 4 სამქულიანი კი ააცალა. ცინცაძემ 30 წუთს ითამაშა და "როკს" 14 ქულა, 5 მოხსნა და

მორიბი ორმაბი მარცხი

ოსაკაში მიმდინარე მარტის ბაშოს დასკვნითი ნაწილი ქართველმა სპორტსმენებმა ჩააგდეს - შესაძლოა სუპერტურნირი ორივემ უარყოფითი ბალანსით დაასრულოს. გუშინ, ბაშოს მეთერთმეტე საასპარეზო დღეს, ტოჩინოშინი დასავლეთის მეთორმეტე მიიგაშირა შოტენუროსთან დამარცხდა. ახლა ახალგაზრდა ქართველი ათლეტის ანგარიშზე 4 გამარჯვება და 7 მარცხია. დარჩენილ ოთხ ბრძოლაში ტოჩინოშინიმ ერთიჯ რომ წააგოს, ბაშოს უარყოფითი ბალანსით დაასრულებს და რეიტინგში დაქვეითდება.



ტოჩინოშინიმ მეშვიდე ბრძოლა წააგო

კოკაიმ ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია. ამჯერად ლევან ცაგურია დასავლეთის მეხუთე მიიგაშირა ამინასკისთან დამარცხდა. თერთმეტი დღის შემდეგ კოკაის 5 გამარჯვება და 6 მარცხი აქვს. ასე რომ, უარყოფითი ბალანსი და რეიტინგში დაქვეითება მასაც დაემუქრა.

პოვეს ასომორიუმ და ჰაკუჰომ. ჰაკუჰოს არც ერთი მარცხი არა აქვს და თუ ასომორიუსთან პირ-

დად ბრძოლასაც მოიგებს, იმპერატორის თასი გარანტირებული აქვს. სხვა შემთხვევაში ბაშოს

გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი ორთაბრძოლა დაინიშნება.

კანუტეს მილანელობა მოუნდა
ესპანური "სევილიას" თავდამსხმელ ფრედერიკ კანუტეს "მილანში" თამაში სურს. "მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში ასპარეზობა ყოველთვის მინდოდა. ამიტომ ვიყავი ალტაცებული, როდესაც გავიგე, რომ ჩემი თამაშით "მილანში" დანტერესდნენ. რა თქმა უნდა, "სევილიაც" ფანტასტიკური კლუბია, მაგრამ "მილანში" არაერთი შესანიშნავი ფეხბურთელი თამაშობს და მათ გვერდით ასპარეზობა ჩემი დიდი ხნის ოცნების ასრულება იქნებოდა. თუმცა, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ: სეზონის ბოლომდე მოვიცადოთ და შემდეგ ვნახათ", - ამბობს კანუტე.

"იბრა" "ინტერში" დარჩება
ტურინის "იუვენტუსის" ყოფილი გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი დარწმუნებულია, რომ ზღაპრად იბრაჰიმოვიჩი მილანის "ინტერთან" ხელშეკრულების ვადას გაახანგრძლივებს. საკუთარი მოსაზრება მოჯიმ La Stampa-სთან საუბრისას გამოთქვა. "ვეფირობ, საქმე ფულშია და იბრაჰიმოვიჩი, ბოლოს და ბოლოს, "ინტერში" დარჩება. ასეთ ფენომენალურ მოთამაშეს არავითარ შემთხვევაში არ გავუშვებდი. ის შესანიშნავად შეერწყა "ინტერს". მაგრამ ზღაპრად აღიზიანებს ის, რომ მარტო წარმატებას ვერ აღწევს. ერთი-ერთზე მისი ტრიუპები იტალიაში შედეგანია, მაგრამ ევროპულ ასპარეზზე იბრაჰიმოვიჩის თამაშს წარმატებულს ვერ უწოდებ, რაზეც მას აკრიტიკებენ. ის ხვდება, რომ მთავარი მოქმედი პირი არ არის, რაც თრგუნავს მას", - დასძინა ლუჩანო მოჯიმ, რომლის ინიციატივითაც 2004 წელს ზღაპრად ამსტერდამის "აიაქსიდან" "იუვეში" გადავიდა.

რანიერი ნაკრებზე ოცნებობს
იტალიის "იუვენტუსის" თავკაცი კლაუდიო რანიერი გამოცხადდა, რომ სამომავლოდ "სკუადრა აძურას" განვრთნაზე ოცნებობს. ამასთან, აპენინელმა სპეციალისტმა დააკონკრეტა, რომ ამ ეტაპზე "იუვეში" ყველაფერი აკმაყოფილებს და "ბებერი სინიორა" მის სამწვრთნელო კარიერაში უკანასკნელი კლუბი უნდა გახდეს. სწორედ ამის შემდეგ სურს რანიერის იტალიის ეროვნულ ნაკრებში მუშაობა.
"იტალიის ნაკრების განვრთნა ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, თუმცა, მანამდე "იუვენტუსში" კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი. ოღონდ ერთი რამის მემინია - წარუმატებელი სერიის გამო ვადაზე ადრე არ მომიხდეს ტურინული კლუბის თავკაცის პოსტის დატოვება. მართალია, ახლა ცუდზე ვიქცევი საფუძველი არა მაქვს, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი სწრაფად იცვლება და შეიძლება ნეგატიური პერიოდი მეც დამიდგეს", - განაცხადა Il Corriere dello Sport-ის ჟურნალისტთან საუბრისას.

ტოკიო ოლიმპიადისთან ყველაზე ახლოსაა
2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ფავორიტ ქალაქად ტოკიოს ასახელებენ. ვებგვერდ - Gamesbids.com-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სპეციალური გამოკვლევის შედეგებითაა გამყარებული. ავტორებმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მასპინძლობის მსურველ ქალაქთაგან შეტანილი განაცხადების ნიგნები შეისწავლეს. განაცხადების ნიგნებს თან ახლავს დაახლოებით 600-გვერდიანი სამტომეულეები, რომლებშიც დაწვრილებითაა აღწერილი, თუ როგორ გეგმავენ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. კონკრეტულად, გამოთვალეს BidIndex - მაჩვენებელი, რომელიც ბევრ ისეთ ფაქტორს ითვალისწინებს, რომელსაც ოლიმპიადის ორგანიზებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. საბოლოო შედეგების შეჯამებით, ტოკიოს 61,41 ქულა დაუგროვდა, მეორე ადგილზე გავიდა რიო დე ჟანეირო (59,95), მესამეზე - მადრიდი (58,73), ბოლო, მეოთხე ადგილი კი ჩიკაგომ დაიკავა (58,37). ანალოგიური გამოკვლევის შედეგები 2008 წლის ნოემბერშიც გამოქვეყნდა. მას შემდეგ ტოკიოს, რიო დე ჟანეიროსა და მადრიდის BidIndex-ქულები ოდნავ გაიზარდა, ჩიკაგომ კი თითქმის ნახევარი ქულა დაკარგა. ამერიკელთა ინდექსის ვარდნის მიზეზი მარტივად ახსნეს - ჩიკაგო ერთადერთი პრეტენდენტი ქალაქია, რომელსაც გარანტირებული ფინანსური მხარდაჭერა არა აქვს. რეიტინგის ავტორთა სიტყვებით, ტოკიო ფავორიტია, მაგრამ კონკურენტებს უმნიშვნელო სხვაობით უსწრებს. ასე რომ, 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ერთპიროვნულ ფავორიტზე საუბარი მაინც ადრეა.

2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლის დასახელებამდე იმავე BidIndex-მა გაამართლა. მაშინ ლონდონის შანსები ყველაზე მაღლა დააყენეს. მის მთავარ კონკურენტად პარიზი დასახელდა, მოსკოვისა და ნიუ იორკის კანდიდატურები კი თითქმის გამოირიცხა. მართლაც, ოლიმპიურმა კომიტეტმა მეორე ტურში ლონდონი და პარიზი გაიყვანა და ბოლოს მასპინძლად ლონდონი გამოცხადდა. 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 2009 წლის ოქტომბერში, კოპენჰაგენში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე დასახელდა.

The New York Times offers a "window" to the world



The New York Times & 24 Saati - the global dimension in Georgian press

- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.
- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის, ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის, ესპანური ელ პაისისთვის, გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის, ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".



ალიონა სავჩენკო და რობინ ვოლკოვი, სლავეურად კი ყლერს, მაგრამ მსგავსი ყლერადობა ფიგურულ სრიალში მსოფლიო ჩემპიონატის მსატებს თუ დაამახსოვრდებათ. ორივე მათგანი გერმანიის სახელით ასპარეზობს. როგორც არ უნდა იყოს, ლოს ანჯელესში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის მოკლე პროგრამის შემდეგ, ფსევდო გერმანელებს საუკეთესოთა შორის მოხვედრის იმედი აქვთ.



სს გ"თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სს გ"თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" აცხადებს ტენდერს ს.ს. თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს მიმდებარე ტერიტორიაზე წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესტორს ვეგელა დაინტერესებულ პირს.

ლოტი 1. ს.ს. თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს მიმდებარე ტერიტორიაზე წყალსადენის ქსელი რეაბილიტაცია

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს ტენდერში მონაწილის ბილეთი 200 (ორასი) ლარი, შემდეგ რეკვიზიტებზე: სს "ბაზისბანკი", კოდი 220101956, ა/ა: 7434123.

3. ტენდერში მონაწილის ბილეთის ანაზღაურების შემდგომ პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს აეროპორტის სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, ტელ.: 433188; 433191.

4. განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის სახით, ან ნოტარიულად დამოწმებული, ქართულ ენაზე.

- 5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:
 - ტენდერში მონაწილეს ბილეთის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
 - პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;
 - ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
 - მსურველი პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

- იურიდიული პირები დამატებით წარმოდგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ბოლო მონაცემით).

6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.

7. სატენდერო დოკუმენტაციე გატანა შესაძლებელია გაზეთში გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 14 აპრილის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, სს გ"თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს ადმინისტრაციული შენობა, სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ.: 433188; 433191.

8. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთიანი დალუქული კონვერტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2009 წლის 14 აპრილის 15.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, სს გ"თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს ადმინისტრაციული შენობა, სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ.: 433188; 433191.

9. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოწერილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

10. პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 14 აპრილის 15.00 საათზე.

11. დაგვიანებით შემოსულ კონვერტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

12. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ტელ.: 433188; 433191; ფაქსი: 433103.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზომადობა

„ბიზნესის მართვის ბიურო“ განცხადება რეორგანიზაციის შესახებ

2008 წლის 15 მარტის პარტნიორთა კრებაზე მი-

ღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს „ბიზნესის მართვის ბიუროს“ რეორგანიზაციის შესახებ.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად ყველა კრედიტორს ვთხოვთ ოფიციალურად წერილობით წარმოადგინოს ორგანიზაციის მიმართ საკუთარი მოთხოვნები შემდეგ მისამართზე: თბილისი 0103, ვიქტორ ჯორბენაძის ქუჩა N19.

შპს „ბიზნესის მართვის ბიუროს“ პარტნიორები

შპს „გეოამქარი“

გთავაზობთ ბურღვით ჰიდროგეოლოგიურ და საინჟინრო-გეოლოგიურ სამუშაოებს.

ტელ. 877-42-32-04, 899-56-20-60.

24 მარტი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი" DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომავალი ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტ-

რაჟო პრეტენზია მურთაზ ჯინჭარაძის, ჯემალ ჯინჭარაძისა და გოჩა ტარიელაძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - 1 752.51 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 10 აპრილი 14:00 საათზე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე მურთაზ ჯინჭარაძე, მცხ. ხელვაჩაური, დ.მახინჯაური, ჯემალ ჯინჭარაძე, მცხ. ხელვაჩაური, დ.მახინჯაური და გოჩა ტარიელაძე, მცხ. ხელვაჩაური, ურები.

25 მარტი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი" DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომავალი ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტ-

რაჟო პრეტენზია დავით მერაბიშვილის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - 4 127.66 ლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 03 აპრილს 11:30 საათზე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე დავით მერაბიშვილი, მცხ. სიღნაღი, ერეკლე მე-2 ის ქ.N14

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

ს.ს.იპ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2009 წლის 25მარტს გაზეთ 24 საათში" გენეტიკური პრეპარატების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას ცვლილება:

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-16 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის

შემდეგ) 2009 წლის 25 მარტის 10:00 საათიდან 14 აპრილის 18:00 საათამდე, სამუშაო დღეებში შემდეგ მისამართზე: ს.ს.იპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N84 მე-4 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 15 აპრილს 15:00 საათზე შემდეგ მისამართზე: ს.ს.იპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N84 მე-4 სართული.

განცხადება

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში - დუშეთის მუნიციპალიტეტის თემებში შემავალი სოფლების სასმელი წყლის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, პირველ ლოტზე გამარჯვებულად გამოცხადდა: შპს"სპინი", მეორე ლოტზე - შპს "მშენებელი-6", ხოლო მესამეზე შპს"ნიუ-ენერჯი"

განცხადება

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში - ქალაქ დუშეთის შიდა გზების (ქუჩების) შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, გამარჯვებულად გამოცხადდა ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია შპს"ბლექ სი გრუპი"

სატენდერო კომისია.



სსიპ საქართველოს შსს მომსახურების

სააგენტო აცხადებს კონკურს მიმოქცევიდან ამოღებული სახელმწიფო საწარმოო ნივთების დატრია მიღებული აღუქმის ჯარის რეალიზაციაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ქვედა დაინტერესებულ პირს

1. კონკურსი ცხადდება ფერადი ღითონის (აღუქმის) ჯართზე, რომლის მოცულობა შეადგენს 16,0 ტონას.
2. სარეალიზაციო ჯართის საწყისი საზღაური 16000 (თექვსმეტი ათასი) ლარია.
3. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს შემდეგ მისამართზე: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ. ტელ: 41-90-14
4. სარეალიზაციო ჯართის ადგილმდებარეობა საქართველო, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ.
5. განაცხადის მიღების ადგილი თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ. სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო. ტელ: 41-90-14
6. განაცხადის მიღების ვადა 2009 წლის 26 მარტიდან 2009 წლის 25 აპრილის სათვლით 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა).
7. კონკურსის ნაბარების თარიღი (მონაწილეთა წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი) 2009 წლის 27 აპრილი 14 საათი.
8. საბანკო რეკვიზიტები მიმღები: სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო ანგარიში №7771313, სს "თი-ბი-სი ბანკი", კოდი 220101850, №/კ 205190513
9. შენიშვნა: კონკურსში მონაწილის მიერ კონვერტში წარმოდგენილი უნდა იქნას კონკრეტული დაფიქსირებული საზღაური.
10. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: საქართველოს მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.
11. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ დაესწრონ წინადადებების გახსნის პროცესს, წინადადებების განხილვა მოხდება მათი დასწრების გარეშე.
12. კონკურსში მონაწილეობისათვის სავალდებულოა "ბე" 1600 (ათასექვსასი) ლარის გადახდა, რომელიც გამარჯვებულ მხარეს წაეთვლება ანგარიშსწორების საწილად, ხოლო დამარცხებულ მხარეს დაუბრუნდება უკან კონკურსის დამთავრებიდან შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში.
13. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია: მაქსიმალური საწყისი საზღაურის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საზღაურს. ვალდებულებების აღება დანარჩენი საკონკურსო პირობების დაკმაყოფილებაზე.
14. შენიშვნა: გამარჯვებულის გამოსავლენად განიხილება მხოლოდ საზღაურის ოდენობა, ამ პირობით თუ პრეტენდენტი აიღებს ვალდებულებას სხვა საკონკურსო პირობების შესრულებაზე. შესაბამისად პრეტენდენტის განაცხადი და დალუქულ კონვერტში მოცემული წინადადება უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ თანხმობას გამოცხადებულ საკონკურსო პირობების შესრულებაზე და საზღაურის თანხას, რომელიც უნდა აღემატებოდეს საწყისი საზღაურის თანხას (ეს უკანასკნელი თავსდება დალუქულ კონვერტში).
15. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადება არ განიხილება).
16. კონკურსში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
17. თუ კონკურსში წინადადებების გახსნით გამოვლინდება ორი ან მეტი იდენტური საზღაურის შემცველი წინადადება, გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება კენჭისყრის გზით.
18. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება წინადადებების გახსნიდან 5 დღის ვადაში.
19. კონკურსის ნაბარებიდან და გამარჯვებულის გამოვლენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში "გამარჯვებული" მონაწილე ვალდებულია სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოსთან გააფორმოს ხელშეკრულება.
20. კონკურსი სათვლით უარყოფითი შედეგით დასრულდებულად, თუ არ იქნება წარმოდგენილი არცერთი წინადადება, ან წარმოდგენილი წინადადებებიდან არცერთი არ შეესაბამება საკონკურსო პირობებს.

21. საკონკურსო პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებული იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და კოველი ვალდებულებები დღისათვის დაჯარიმებულ იქნება საზღაურის ღირებულების 0,1 %-ით.

22. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობა განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინციტით და სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ, ამ შემთხვევაში გადახდილი "ბე" უკან არ ბრუნდება.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (ნიმუში თან ერთვის), რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსში მონაწილე პირის თანხმობა გამოცხადებულ პირობების შესრულებაზე;
- ბ) კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადება, მითაგებელი ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საზღაურის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით, დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადება არ განიხილება);
- გ) "ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი დანიშნულების მითითებით;
- დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
- ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- ვ) იურიდიული პირების დამატებით წარადგენენ სადამფუძვლებლო დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს (ბოლო მდგომარეობით ამონაწერი სამეწარმეო რეესტრთან) და ცნობა ვადადის არარსებობის შესახებ.

განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს

განაცხადი
გაცნობიერებული, რომ (მოქალაქეული პირი)

გაუცხადებია სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოში არსებული ფერადი ღითონის ჯართის რეალიზაციის მიზნით კონკურსის ფორმით სახელდებით გადაცემის შესახებ და სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო აღნიშნულ კონკურსში.

თანახმა ვარ შევასრულო ქვემოთ ჩამოთვლილი საკონკურსო პირობები:

- კონკურსში გამარჯვებულის მიერ განსაზღვრული საზღაურის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღეში დაფარვა;
- საზღაურის დაფარვიდან არაუგვიანეს 3 დღისა ჯართის საკეთარი ძალეებით გატანა.

რითვისაც წარმოვიდგინო:

1. "ბე"-ს გადახდის ქვითარი;
2. დალუქულ კონვერტს;
- 3.
- 4.
- 5.

განმცხადებელი _____

რეკვიზიტები, ანგარიშის № _____
ტელ. _____

დალუქული კონვერტით წარმოსადგენი წინადადების ნიმუში

სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოში შექმნილი საინვენტარის/საცალო კომისიის მიერ მიმოქცევიდან ამოღებული საწარმოო ნივთების განადგურებით მიღებული ჯართის კონკურსის ფორმით რეალიზაციის მიზნით მზად ვარ გადავიხადო შემდეგი რაოდენობის საზღაური:

საზღაური მითითებული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით.

ამასთან ვკისრულობ ვალდებულებას სხვა საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

ხელმოწერა: _____

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ტენდერს ქვესადგური ხაშური 220-ის შემოღობვის სამუშაოების შესყიდვის განხორციელებლად (დემონტაჟი შექმნა-მონტაჟი).

№	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	მისამართი	სამუშაოს შესრულების ვადები
1	ქს ხაშური 220-ის ტერიტორიაზე ძველი ღობეების დემონტაჟი	დემონტირებული მასალები უნდა დასაწყობდეს ქვესადგურის ტერიტორიაზე დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილას	შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში
2	ქს ხაშური 220-ის ტერიტორიის გარე და შიდა შემოღობვა (შექმნა-მონტაჟი) 1 022 მ	ქ. ხაშური, გაგარინის ქუჩა №82	

სამუშაოების კონკრეტული ჩამონათვალი იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში (ტექნიკურ პირობებში).

სამუშაოს მიწოდების (დემონტაჟი შექმნა-მონტაჟი) ხასურველი ვადაა შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 3 (სამი) თვე.

დემონტაჟისთანავე ძველი ღობეების, დასაწყობება უნდა განხორციელდეს ქს ხაშური 220-ის ტერიტორიაზე შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე.

აუცილებელი პირობა:

შესყიდვის განხორციელებისას ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უსრულებლობის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების დირექტორის 1%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უსრულებლობის საბანკო გარანტია სახელშეკრულებო დირექტორის 5%-ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოხატვებელი 200 (ორასი) დარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ანგარიშზე: ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101502, ა/ა 283534100, საიდ. კოდი 204995176 მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და ტენდერის ნომერი T 0309-G-010.

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 14 აპრილის 17:00 საათამდე.

დაფინანსების წყარო - შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს სახსრები.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 15 აპრილს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე (თბილისის დროით). შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვის სამსახურში მესამე სართული ოთახი №311.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2009 წლის 15 აპრილს 15:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს სათაო ოფისის შენობა სათათბირო დარბაზი.

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ოფიციალურ პირობებს:

1. ამონაწერი სამწარმო რეესტრიდან.
2. ცნობა ვადადის არ არსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო).
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები).

ფიზიკური პირებისათვის:

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საკონტაქტო რეკვიზიტები).
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლების სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის სახით.

ყველა საკვალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: პრეტენდენტის დასახელება, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს სატენდერო კომისიის ტენდერი № T-0309-G-010.

ოფიციალური და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მიხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა საკვალიფიკაციო მონაცემებს ან რომელიმე მათგანი აღმინებდა ვადაში, ასევე თუ პრეტენდენტის მიმართ მიმდინარეობს რეორგანიზაცია ან დიკლიდაცია და/ან სატენდერო წინადადება არ შეეხება შპს სატენდერო დოკუმენტაციის და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციის შემსყიდველ ორგანიზაციაში.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. №2. ტელ: (+995) 98 98 16; მობ. 877 23 23 55 შესყიდვის სამსახურის სპეციალისტი გიორგი ციორაძე.

ცვლილება განცხადებაში

საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში (სხვადასხვა დასახელების სამეურნეო და მცირეფასიანი ელექტრო საჭონელი) შესყიდვაზე 2009 წლის 11 მარტის გაზეთ „24 საათში“ შეტანილ იქნას ცვლილება:

კერძოდ: შესყიდვის ობიექტი ლოტი 1-ის პოზიცია 44 და 85 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

ლოტი	საჭონელის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	II	III	IV
44	ნალი	წყვილი	400	200	200	----
85	მავთული ეკლიანი 76 დიამეტრიანი (ეკლიანი მავთული მოთუთიებული 16მმ სიგანის, დანის 22-25მმ)	მეტრი	1500	1500	----	----
	მავთული ეკლიანი 70 დიამეტრიანი (ეკლიანი მავთული მოთუთიებული 16მმ სიგანის, დანის 22-25მმ)	მეტრი	2000	2000	----	----
	მავთული ეკლიანი 45 დიამეტრიანი (ეკლიანი მავთული მოთუთიებული 16მმ სიგანის, დანის 22-25მმ)	მეტრი	1500	1500	----	----

სატენდერო კომისია

შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" აცხადებს ტენდერს ოუზრბეთის რაიონში მდებარე გუშუქანის სადანიეო აუზის კომპლექსური გამაგრების სამუშაოებზე.

დაინტერესებულ კომპანიებს შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, დაგვიკავშირდნენ ქვემოთ მოცემულ მისამართზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად.

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“

დელისის მე-3 შესახვევი N 22, V სართული;
0177, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 53 79 10
+995 97 12 60 00
+995 93 94 91 83

ელ. ფოსტა: n-kvaratskhelia@gig.ge
l-mosavlidze@gig.ge

ნინო კვარაცხელია
ლევან მოსავლიძე

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 27 მარტი.

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებულ აუქციონში ველის სასაწყობო ბაზის შენობა-ნაგებობების, მათზე დამაგრებული მიწის ფართისა და ტექნიკური შენობების რეალიზაციის თაობაზე, საკონტინენტო ტერმინალის მოწყობის მიზნით

სააუქციონო პირობების მე-2 პუნქტში შევიდეს შესწორება შემდეგი სახით:

- განაცხადების მიღების ვადა - ნაცვლად 2009 წლის 27 მარტისა, განისაზღვროს 2009 წლის 27 აპრილით. განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით, აუქციონის ჩატარების დღემდე 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10:00 საათიდან 12:00 საათამდე.
- აუქციონი ჩატარდება- 2009 წლის 27 აპრილს 14:00 საათზე.

სხვა დანარჩენი სააუქციონო პირობები რჩება უცვლელი, გამოცხადებული პირობების შესაბამისად.



შპს "საქართველოს რკინიგზა"

24 მარტი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი" DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომავალი ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ლიანა დვალისა და ნელი კახიძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - 24 871.97 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ.

